კლიმ მარი

მთელი ეს როკ-ენ-როლი

იმ დროს, როდესაც ნიუ-იორკთან ახლოს, ვუდსტოკის ფერმაზე შეკრებილი ნახევარი მილიონი ადამიანი, მოუთმენლად ელოდა ჯიმი ჰენდრიქსის სცენაზე გამოჩენას, თბილისში, იმპერიის რომელიღაც მიყრუებულ კუთხეში, იგივე რაოდენობის ხალხი გულმოდგინედ იწერდა "ბიტელს"-ის "თეთრ ალბომს", "სვემა"-ს მაგნიტურ ლენტზე. მას შემდეგ ნახევარი ცხოვრება გავიდა და ვინც ამგვარად აღმოჩნდა მოწამლული, როგორც ჩანს მათი საშველი აღარ არის. ალბათ ამიტომ, ასეთი წიგნის დაწერის სურვილი დიდი ხანი არ ასვენებდა ჩვენში უამრავ ადამიანს, რომელთა უმრავლესობა ჩემი მეგობარია და მათ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, განსაკითრებით კი - ვასიკო კეჟერაძეს.

როგორ უნდა დაიწყოს კაცმა ასეთი წიგნის წერა, ან რატომ? პირველ კითხვაზე იმდენი ვიფიქრე რომ, ამასობაში თითქოს სათაურიც მოვიფიქრე და გაფორმებაც. მეორე კითხვაზე თავი იმით ვინუგეშე, რომ ბოლოს და ბოლოს ტექსტი ქართულად იქნება და თან წიგნის ფორმაც ექნება მეთქი. ისე, ამ თემაზე მსგავსი ქართული წიგნი ვერც გავიხსენე, ჯაზზე არსებულ ორიოდე მშვენიერ გამოცემას თუ არ ჩავთვლით. მუზის დიდი ხნის უიმედო ლოდინის შემდეგ, გადავწყვიტე ჩემი საყვარელი ფირიფტებისთვის გადამეხედა და შთაბეჭდილებები მომეშველიებინა. პირველი, რაც თვალდახუჭულს ხელში მომხვდა, ფრენკ ზაპას 1974 წლის ორმაგი ალბომი "როქსი" აღმოჩნდა. ცუდი დასაწყისი არ არის მეთქი, გავიფიქრე და შემდეგ ფირფიტას უკვე თვალგახელილმა შევხედე. ისიც 1974 წლის გამოდგა და ასევე ორმაგი - "ჯენეზის"-ის "ბროდვეი". ასეთი დამთხვევა ალბათ კარგის ნიშანია მეთქი და საბოლოოდ გავთამამდი...

ყოველ ნამდვილ წიგნს, თან ახლავს ხოლმე გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, ჰოდა აი ისიც: მთელი მედია, ინტერნეტი და ათასნაირი ენციკლოპედიები, ილუსტრაციებით და მათ გარეშე. და ბოლოს, ნახატი ყდისათვის თავაზიანად მოგვაწოდა ჯეიმს გრაშოვმა, რომელმაც თავის დროზე, როკ-მუსიკის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო დისკიც გააფორმა. წესით და რიგით, მსგავსი წიგნის პირველი თავი ასე უნდა იწყებოდეს:

როკ-ენ-როლის დაბადების დღე

მაგრამ სითამამესაც საზღვარი აქვს, თან მემგონი ცოტა ყალბიც გამოვა. პირველი იმიტომ, რომ იმ თაობას არ ვეკუთვნი რომელიც მოესწრო ამ მოვლენას და თავის თავზე გამოსცადა მისი ეფექტი. მეორე - როგორც მე მგონია, ამ ყველაფერმა ქართველებს ცოტა გვერდი აგვიარა, იმის გამო, რომ იმპერიულ პროვინციებში ინფორმაცია ძალიან აგვიანებს. ჰოდა, ვიფიქრე 50-იანების საუკეთესო ალბომებზე ორიოდე სიტყვა მეთქვა. რათქმაუნდა, პირველი და მთავარი აქ ელვის პრესლის 1956 წლის დისკი შემხვდა, სახელად "ელვის პრესლი". მემგონი რკინისებური ლოგიკაა არჩევანშიც და სათაურშიც, მითუმეტეს, რომ იმ დროს ჯერ კიდევ არ არქმევდნენ ალბომებს ისეთ სახელებს, როგორიცაა მაგალითად: "გემმა ძალიან დააგვიანა ჩაძირული კუდიანის გადასარჩენად მისვლა".

არც კი ვიცი, საჭიროა თუ არა დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობების მოტანა: "...დაიბადა ამერიკელი მოსამსახურეების ღარიბ ოჯახში..." და ასე შემდეგ. მგონი ჯობია ვთქვა, ცხონებული თქო. დღესაც დიდი სიამოვნებით უსმინს ხალხი, დიდი ტირაჟითაც იბეჭდება და პირველ აგდილებზეც გადის. 18 წლის პრესლი, რომელიც მაშინ მძღოლი იყო, სემ ფილიპსის ხმის ჩამწერ სტუდია "სან"-ში მისულა, სიმღერის "ყველაფერი რიგზეა" ჩასაწერად, რომელიც დღეს ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ამბობენ, სწორედ მაშინ დაიბადა როკ-ენ-როლიო. ზუსტად ამ დროს, 1953 წელს,

ბრიტანეთის სამეფო ტახტზე ავიდა, ელისაბედ მეორე. ჩვენთან კი, ბელადი გარდაიცვალა და იქნებ ამანაც გაუხსნა ინფორმაციას გზა. მხოლოდ ამ ტერმინის გამო დაწერილ ლიტერატურას კი, მგონი ვერცერთი ბიბლიოთეკა ვერ დაიტევს. მისი ყველაზე მარტი განმარტება, ალბათ ასეთია: შავკანიანი ლიტლ რიჩარდის თუ ფეტს დომინოს შესრულებით, მას რითმ-ენ-ბლუზს ეძახდნენ. თეთრების რეპერტუარში კი, ის როკ-ენ-როლად იქცა: შავი ბლუზის და თეთრი ქანთრის ნაზავად. ერთი სიტყვით, პრესლიმ წაშალა ამ მუსიკალური ჟანრების საზღვრები და ის მთელი თაობის თვითგამოხატვის საშუალებად აქცია. ამის შემდეგ პრესლის

ელვის

სისწრაფით მოჰყვნენ: ჯერი ლი ლუისი, როი ორბისონი, ჯონი ქეში და ბოლოს, ბადი ჰოლი. ჰოლიმ მხოლოდ 22 წელი იცოცხლა და სულ რაღაც ერთ წელში უამრავი რამ მოასწრო. ის თვითონ წერდა ტექსტებს, თვითონ შეკრიბა "კრიკეტსი" - ერთ-ერთი პირველი როკ-ჯგუფი, ჩაწერაზე კონტროლს თვითონ ანხორციელებდა, უპირატესობას ელექტრო გიტარას ანიჭებდა და ბოლოს ყურადღებას არ აქცევდა იმას, რომ მაინც და მაინც სილამაზით არ გამოირჩეოდა. იმ დროს ეს ამბავი, ცოტა წარმუდგენელიც კი იყო. ინგლისურმა ჯგუფმა, ამ კაცის პატივისცემით დაირქვა "ჰოლისი". თუნდაც ნახეთ როგორ ჟღერს მისი "სიყვარულის სიტყვები" "ბიტელსი გასაყიდად" -ში. ასევე, ვიქტორ ცოი ერთგან მღერის: ვიტრინების შუშებში, ჩემი თავი ბადი ჰოლი მგონიაო. ჩვენთან, ჯერ ჯაზი ბატონობს, გლენ მილერით შთაგონებული "გ.პ.ი."-ს ორკესტრის მეთაურობით.

ერთ-ერთი ვერსიით, როკ-ენ-როლის ტერმინად დანერგვას ალან ფრიდს აბრალებენ. ეს კაცი, 1952 წლიდან უწამლავდა თურმე ტვინს კლივლენდის ახალგაზრდობას, თავისი მუსიკალური რადიო გადაცემებით. განსაკუთრებით კი ბილ ჰეილი და "კომეტები" ყვარებია. თუ ამ ვერსიას დავუჯერებთ, გამოდის რომ "როკი" ჰეილის

ტექსტიდან აუღია ფრიდს. ბარემ აქვე იმასაც ვიტყვი, რომ "როკი" ქართულად "როკვაა" და მეტი არაფერი. ჰეილის "კომეტები" ერთ-ერთი პირველი ჯგუფია, რომლის ფირფიტა "როკვა დღე და ღამე" მილიონზე მეტი გაიყიდა. კიდევ ერთი რამ, რაც მუსიკის ესთეტ მსმენელს ძალიან სიამოვნებს: ამ ალბომის ყდა, გაფორმების ერთ-ერთი პირველი ნიმუშა და თითქოს მალევიჩს ან კანდინსკის ნახატს გვაგონებს. იმ დროს ხომ ყდებს, მხოლოდ მომღერლის ლამაზ პორტრეტებს ახატავდნენ. 80-იანი წლების ბოლოს, ჩვენი იმპერიის უკანასკნელ დღეებში, მახსოვს, დიდი დაგვიანებით რომ გამოჩნდა თავისუფალ გაყიდვაში, სწორედ ამათი პოლონური ფირფიტა. თუმცა, ჩემთვის ნამდვილი, როგორც კოლექციონერები ამბობენ: ორიგინალი ფირფიტები არასოდეს ყოფილა იშვიათობა, მაგრამ ამ ამბით მაინც ძალიან გაოცებული დავრჩი.

ბოლოს ფრიდმა, როგრც მენეჯერმა კონცერტების მოწყობა დაიწყო. თან, თურმე შავკანიანებსაც და თეთრებსაც განურჩევლად პატიჟებდა ხოლმე, იმდროინდელი რასობრივი სეგრეგაციის მიუხედავად. ჰოდა, აგერ ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენა: არაჩვეულებრივი მუსიკოსი და გიტარისტი ჩაკ ბერი, რომელიც დღესაც ცოცხალია და თავის კერპად ისეთი ხალხი ასახელებს, როგორებიც არიან "როლინგ სტოუნზი" და "გრეიტფულ დედი". კრიტიკოსები მას როკის პოეტს ეძახიან. აგერ ამის მშვენიერი მაგალითი, სიმღერა "ჩაიჩოჩე ბეთჰოვენო" და შემდეგ როგორც ტექსტშია: დღეს მე ისევ როკის მოსმენა მომინდაო.

მოკლედ, კაცმა ლამის ბეთჰოვენზე აღმართა ხელი და აბა ეს ამბავი ეგრე როგორ ჩაივლიდა? ასე რომ, 50-იანების ბოლოს, ბროდვეიზე ამ საქმის ნამდვილი პროფესიონალები გაჩნდნენ: კომპოზიტორები, ხმის ჩაწერის ინჟინრები და არანჟირების ოსტატები. ამ ყველაფრმა ერთ ისეთ ადამიანში მოიყარა თავი, როგორიც ფილ სპექტორი იყო. 19 წლის ფილს, სტუდია "ატლანტიკ"-ში სიმღერა "ესპანური ჰარლემი" ჩაუწერია. თან, ამისთვის ერთდროულად რამდენიმე გიტარისტი, ორი მედოლე, ათიოდე სასულე და ერთიც ამდენი სიმებიანი მოუწვევია. მომდევნო

წლებში, სპექტორმა ამავე "ბგერითი კედლის" უნიკალური მეთოდით არანჟირება გაუკეთა და ჩაწერა ისეთი ხალხი როგორებიც არიან თინა და აიკ ტერნერები და მოგვიანებით თვით "ბიტელსი".

სანამ ჩვენთან ისევ "მზიური ველის სერენადა"-ს უსმენდნენ, ამასობაში მეორე ჯორჯიაში, როკ-მუსიკისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მომხდარა: ჯაზისა და ბლუზის მუსიკოსს - რეი ჩარლზს, თავის ფორტეპიანოზე ნაცვლად "მე ვპოვე უფალი"-სა, "მე ვპოვე ქალი"-ო უმღერია. თუ არ ვცდები, ეს სიმღერა თბილისშიც შეასრულა, აგერ უკვე აქეთ, ხალხმა გლენ მილერი რომ დაივიწყა საბოლოოდ. როგორც კრიტიკოსები წერენ, რეიმ როკში სულიერება შეიტანაო: ეტყობა ამ სიმღერას არ გულისხმობენ. ამ გზაზე რეი ჩარლზს, გაჰყვნენ ოტის რედინგი, სტივ უონდერი და ჯეიმს ბრაუნი. ეს უკანასკნელიც კარგად უნდა ახსოვდეთ თბილისელებს, ლაგუნა ვერეზე რომ იბანავა, შუა კონცერტისას. როგორც ჩანს, სხვანაირადაც შეასძლოა ისტორიაში შესვლა, თუნდაც

უსიტყვოდ

გიტარისტების გამოცემებს თუ არ ჩავთვლით, მემგონი მკვლევარები მაიცადამაინც არ წყალობენ, ერთ შესანიშნავ ადამიანს. ჰოდა, რადგან ამ წიგნს მსგავსი პრეტენზია არა აქვს, ვეცდები ეს ამბავი გამოვასწორო. თან გიტარისტი რამდენად დიდ როლს თამაშობს როკ-მუსიკაში, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. სანამ ღმერთები გამოჩნდებიან, ხომ ხდება ხოლმე, რომ მათ მოსვლას, წინ ვინმე რჩეული უსწრებს? აი, ზუსტად ეს კაცია ლინკ რეი. ჯიმი ჰენდრიქსს, ჯიმი პეიჯს, ჯონ ჩიპოლინოს მას თავის მასწავლებლად თვლიან. ნილ იანგმა: რომ შემეძლოს წარსულში დბრუნება, რეის კონცერტს დავესწრებოდიო. ამბობენ ლინკ რეის მხოლოდ ერთი კომპოზიციაც რომ ჩაეწერა, ესეც საკმარისი იქნებოდაო.

ლაპარაკია 1958 წლის "რამბლ"-ზე. პიტ თაუნშენმა: "რამბლი" რომ არ მომესმინა, გიტარას არც ავიღებდი ხელშიო. ჯიმი პეიჯი კი, დღესაც სიამოვნებით უსმენს თურმე თავის კერპს. პირველად რომ დაუკრავს ეს ინსტრუმენტული კომპოზიცია, ისეთი ეფექტი მოუხდენია, რომ ბისზე კიდევ სამჯერ გაუმეორებია. სწორედ ამ დროს გაიჟღერა პირველად ფუზიანმა გიტარამ: გადატვირთული, დამძიმებული და გაძლიერებული ხმით. იმ დროისთვის, ლინკ რეის გიტარა ისე აგრესიულად ჟღერს, რომ რამოდენიმე რადიო სადგურს აუკრძალავს კიდეც "რამბლი". ეს შემთხვევა მემგონი საერთოდ უნიკალურია, იმ გაგებით, რომ ამ კომპოზიციას ტექსტი არა აქვს. ალბათ სათაურმა, რომელიც სლენგზე "ჩაცხრილვა"-ს ნიშნავს, თუ შეაშინა ვინმე... აქ მემგონი 60-იანებს მივადექით და როგორც მიღებულია, რაიმე ორიგინალურ სათაურს მოიფიქრებდა კაცი, ვთქვათ:

შავი მუსიკა თეთრ ხელთათმანებში

მაგრამ ამაზე სერიოზულმა გამოცემებმა იფიქრონ. მე კი, იმავე ჩანაწერს რომ ვუსმენ რასაც ვყვები, იმას ვფიქრობ: რა დრო მოვიდა თქო: საბჭოთა მილიციის მიერ კონფისკებული ფირფიტები გამახსენდა. ერთი სიტყვით, 60-იანების კალიფორნიელი ახალგაზრდობის მთავარი გასართობი ადგილი, წყნარი ოკეანის სანაპირო ყოფილა. ერთ მშვენიერ დღეს, ლოს-ანჯელესელმა დენის და კარლ უილსონებმა, აღფრთოვანებულებმა მოირბინეს სახლში თურმე, უფროსი ძმისთვის ბრაიანისთვის, სერფინგით მიღებული შთაბეჭდილებები რომ გაეზიარებინათ. ბრაიანს ძმებისთვის ჯერ "სანაპიროს ბიჭები" უწოდებია, მერე ამდგარა და სერფინგზე სიმღერა დაუწერია და ბოლოს ჯგუფი "ბიჩ ბოის"-იც შეუქმნია. ქვეყანაზე 1961 წელი იდგა.

"ბიჩ ბოისი" მემგონი პირველი ნამდვილი როკ-ჯგუფია, თანამედროვე გაგებით. ჩვენთან თითქოს ხელწამოსაკრავიც კი იყო ხოლმე ეს ხალხი, სამან ერთ მშვენიერ დღეს, აგერ უკვე მეოცე საუკუნის ბოლოს, არ გავიღვიძეთ და როკ-მუსიკის ყველა

დროის საუკეთესო ჩანაწერთა ჩამონათვალში, პირველ ადგილზე არ აღმოვაჩინეთ ამათი 1966 წლის ალბომი "მოფერების ხმები". რაც კაცობრიობამ ასეთი ცხრილები მოიგონა, მანდ ხომ სულ "ბიტელს"-ის "სერჟანტ პეპერსი" იდგა. ჰოდა, წარმოიდგინეთ რა აურზაური გამოიწვია ამ ამბავმა. ისე მე მაინც მეჩვენება, რომ ამ ჩანაწერის მნიშვნელობა ცოტა გადაჭარბებულია, მაგრამ ამას იმით ვხსნი, რომ ხალხმა ძალიან გვიან დააფასა ეს ალბომი. უფრო საინტერესო ის არის, რომ იმავე პერიოდის მეორე დისკი "ღიმილი", ჯერ მემგონი საერთოდ არც დაუფასებიათ სათანადოდ, ძალიან თავგანწირულ მსმენელს თუ არ ჩავთვლით. ეს "ღიმილი" დღემდე არ გამოსულა იმ სახით, როგორც თავიდან იყო ჩაფიქრებული. მართალია, არსებობს 1967 წლის "ღიმილიანი ღიმილი", მაგრამ ეს ამათი ყველაზე სუსტი ჩანაწერია, რაც კი მომისმენია. იმ შედევრის ფრაგმენტები კი, მომდევნო რამოდენიმე დისკშია გაფანტული. 2004 წელს, უკვე ხანში შესულმა ბრაიან უილსონმა, მაინც გამოსცა ნამდვილი "ღიმილი"-ს თანამედროვე ვარიანტი, მაგრამ თითქოს მაინც ის არ არის, რაც თავიდან უნდა ყოფილიყო. მოკლედ, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობს:

რა ვქნათ?

როგორც შუა საუკუნეების საიდუმლო ტრაქტატებს ახასიათებთ, მხოლოდ ასე თუ მოიპოვებთ ამ ალბომს. მაშ ასე: უნდა აიღოთ ბრაიან უილსონის 2004 წლის "ღიმილი"-ს დისკის ყდა, რომელზეც იპოვით 17 კომპოზიციას. ეს ის უნიკალური შემთხვევაა, როცა ჩანაწერზე მეტად ყდა გვაინტერესებს. შემდეგ უნდა მოიპოვოთ "ღიმილი"-ს 1966 წლის გამოუქვეყნებელი ვარიანტი. ეს რთული არ არის, მეკობრეებმა ასეთი თუ არ ვცდები ოცდაათამდე ვარიანტი გამოსცეს. 2004 წლის კომპოზიციების სათაურების მიხედვით ამოკრიფეთ მხოლოდ ის 17 კომპოზიცია და ეს 1966 წლის ვერსიები დაალაგეთ ზუსტად იმ თანმიმდევრობით როგორც 2004 წლის ალბომზეა მითითებული. მიიღებთ 1966 წლის "ღიმილ"-ს, იმ სახით, როგორიც ის თავიდან უნდა ყოფილიყო, ბრაიანი ავად რომ არ გამხდარიყო და სტუდია

"კეპიტოლ"-ს თავის ჭკუაზე რომ არ დაეჩეხა ეს შედეგრი. თან, ამ დროს ხომ ბიტლომანიამ წალეკა ყველაფერი და ეს ამბავი ეტყობა დავიწყებას მიეცა, კარგა დიდი ხნით. ბიტლომანია კი, მაგრამ

რატომ "ბიტელსი" ?

რატომ და როგორც ვასიკო კეჟერაძე ამბობს: ავტორმა ასე ინებაო. რატომ ინება და იმიტომ რომ ეს სიტყვა, თვითონ ჯონ ლენონმა ასე გამოთქვა: აი დონთ ბილივ ინ ბილეტსო. სიმართლე რომ ითქვას, ამ ფენომენზე ბევრი ლაპარაკი მემგონი ცოტა უხერხულიც კია. "ბიტელს"-ით იწყება ბრიტანული შეჭრა ამერიკაში. ბიტლომანიას უკავშირებენ მთელი თაობების აზროვნების ჩამოყალიბებას. მუსიკას რომ დავუბრუნდეთ: დღევანდელი განებივრებული მსმენელი ძალიან ძნელად თუ აღფრთოვანდება "მარწყვის მდელო"-ს დოლების პარტიით. ეტყობა განებივრება მართლა ცუდი რამეა. ამბობენ, როკში პირველი ფირფიტა, რომელსაც ალბომის, ანუ გასაშლელი ფორმა ჰქონდა ამათიაო, ისევე როგორც, პირველი შემთხვევა, როცა ფირფიტის ყდაზე დაბეჭდილი იყო სიმღერების ტექსტები. კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი რამ: მეოცე საუკუნის კლასიკოსებად აღიარება თუ ბრიტანული უმაღლესი ჯილდოების მინიჭება. ამ მასშტაბის მოვლენას აბა რომელი იმპერია და მითუმეტეს პროვინცია გაუძლებდა? ჰოდა, დაავადების პირველი კერებიც ამ დროს გაჩნდა, ჩვენს ფოტო სალონებში...

იყო ასეთი ფოტო კაბინეტები იმ დროს ჩვენში, სადაც მიბრძანდებოდით და ვთქვათ, პასპორტისთვის 70 კაპიკად სურათს გადაიღებდით. აი ზუსტად, ერთ-ერთ ეგეთში ვმუშაობდი მაშინ, ვასიკო კეჟერაძის - მაესტროს ხელმძღვანელობით. თუ არ ვცდები, პირველად 1967 წლის ზამთარში გადავიღეთ, "ბიტლსთან ერთად"-ის ყდის ფოტოასლი. სხვათაშორის, აქ არის ჩაწერილი, ჩაკ ბერის იმ "ბეთჰოვენის" ერთ-ერთი ვერსიაც. ერთი იქვე გვეკიდა, მეორე სახლში, დანარჩენები კაი ხალხს გავუნაწილე.

დაიწყო არნახული მეკობრეობა. არ იყო იმ დროს უფრო ძვირფასი ნივთი, ვირდე როკის ფირფიტა. გაჩნდა საბჭოთა მაგნიტოფონი "კომეტა" რომელსაც ერთი კოჭი მაგნიტური ლენტი - ბაბინა მოყვებოდა, მოკლედ იყო ერთი წერა-კითხვა, სმენა და კოპირება. ფირფიტების ფასი ზუსტად დაადგინა მადლიერმა საბჭოთა მსმენელმა: 50 მანეთი, იმ დროს დაახლოებით 50 დოლარი! ცოდვა გამხელილი ჯობსო და: იმ ფოტოასლებსაც დაედოთ ფასი: 20, 50 და 90 კაპიკი, სიდიდის მიხედვით. მაგრამ ამაზე უფრო დიდი წარმეტებით, მეწაღეთა ჯიხურები - საპოჟნიკები მუშაობდნენ. დრომ ისე მოიტანა, რომ საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ თუ ჩამოტანილ ფირფიტებს შორის, უცნობი ჯგუფებიც გვხვდებოდა ხოლმე. ყველაზე ხშირად ეს იყო

"როლინგ სტოუნზი"

ეს ცოცხალი ლეგენდები დღესაც გამოდიან სცენაზე და ალბათ ბევრს ცოცხლადაც ჰყავს ნანახი, ემიგრაციაში თუ ტრეინინგებზე ყოფნისას. "კაი ბიჭები" - აი კიდევ ერთი ზუსტი თარგმანი. ალბათ მეორე უდიდესი ინგლისური ჯგუფი, "ბიტელს"-ის შემდეგ. ეჰ, ამას ეხლა ვამბობ, თორემ იმ წლებში, ამის გამო კამათი შეიძლება ჩხუბამდეც კი მისულიყო. ზოგი, ამათ 1965 წლის სიმღერას "დაკმაყოფილება", მძიმე როკის პირველ ნიმუშად მიიჩნევს. სწორედ ამათ გაგვაცნეს, ერთ-ერთი პირველი ინგლისელი ვირტუოზი გიტარისტი ბრაიან ჯონსი. ამ ცხონებულმა, გიტარის გარდა, სიტარა, ბუზუკი და დულციმერიც დიდი ოსტატობით გამოიყენა, "ლედი ჯეინ"-ში თუ "შეღებე შავად"-ში. მახსოვს, ზუსტად ამ სიმღერების რაღაც უცნაური ფირფიტა რომ გაჩნდა თბილისში. უფროს თაობას კარგად უნდა ახსოვდეს, მცირე ზომის, მეტისმეტად თხელი და ფერადი

ცელოფნის ფირფიტები

ეს ამბავი ისეთი ბნელითაა მოცული, რომ ალფრედ ჰიჩკოკიც ვერაფერს გაარკვევს. აი

აბსოლუტურად ფანტასტიკური ფაქტები, რაც ისტორიამ შემოგვინახა: 60-იანების შუაში, ჩვენი იმპერიის დედაქალაქ მოსკოვში, გორკის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ფოტო ატელიეში ასეთი წარწერა გაჩნდა: "ხმის ჩაწერა", ვითომ კაცს დედისთვის დაბადების დღე რომ მიელოცა, როგორც თავის დროზე ეს ელვის პრესლიმ გააკეთა. ამ სალონის მასპინძელი, ვინმე ძია ჟენია ყოფილა, რომლის გვარი, რათქმაუნდა არავინ უწყის. იმის გათვალისწინებით, რომ მანდ არავის, არასდროს, არავითარი მილოცვა არ ჩაუწერია, ეს ღვთისნიერი თუ მოგზავნილი კაცი, ადგილობრივ მოსახლეობას დასავლეთის როკ-კულტურის ნიმუშებს უწერდა თურმე. სად იყო ამ დროს "კ.გ.ბ.", ან იყო თუ არა ამ ყველაფრის სათავეში, რათქმაუნდა დაახლოებითაც ვერავინ გეტყვით. ახლა კი, ჩაწერის კიდევ უფრო ფანტასტიკურ პროცედურა: ეს ძია ჟენია, ერთ სიმღერიან ცელოფნის ფირფიტას, ერთ მანეთად წერდა თურმე, "კომეტიდან" რაღაც გაურკვეველ მონსტრზე, რომელშიც სიგნალი მიკროფონიდან აღწევდა და რომლის ზედაპირზეც ბრუნავდა რენტგენის ნახმარი სურათი და ბოლოს, ზედ თქვენი შეკვეთა იკაწრებოდა. მე რომ მკითხოთ, ეს მანქანა, თუ სადმე არსებობს კიდევ, პირველი კატეგორიის სამუზეუმო ექსპონატია და კიდევ, წესით იმ ძია ჟენიას ეკუთვნის ყველა ის ჯოლდო, რაც მიხეილ გორბაჩოვს მიენიჭა, კაცმა არ იცის რისთვის. ამ ისტორიის ფინალი კი, უკვე ნამდვილი მითოლოგიის ნიმუშია. ტარკოვსკის "სტალკერის" ჯადოსნური ოთახის არ იყოს, ვითომ საქმე იქამდე მისულა, რომ ამ ლაბორატორიაში, როგორც შემსრულებლებს ფეხი აუდგამთ ალექსანდრე გრადსკის და საბჭოთა როკის პირველი თაობის სხვა მუსიკოსებს. ეს ამბავი, ისეთი მისტიკური და იდუმალი გამოვიდა, რომ მემგონი დროულია რამე ნათელ ისტორიაზე გადასვლა, იყოს თუნდაც:

ალმოდებული ალბიონი

შეიძლება ითქვას, რომ ალბიონი მართლაც როკ-მუსიკის ალში გაეხვია. იმპერია, თუნდაც ყოფილი, მაინც იმპერიაა! იმპერიის მთავარი თავისებურება კი

მოგეხსენებათ, ამბიციაა. ჰოდა, მართლა ღირსეული გამოწვევა შესთავაზა ინგლისმა ამერიკას: დახვეწილი ბრიტანული გემოვნებით შექმნილი როკ-შედევრები. ამას დაამატეთ, ვირტუოზი გიტარისტების, პიანისტების თუ მედოლეების მთელი არმია. მოკლედ, ამ ხანძრის სქელმა კვამლმა, ლამის ამერიკაც კი დაჩრდილა. ისე, ჩვენთან, მემგონი ბრიტანული მუსიკა უფრო დაფასებული იყო ყოველთვის, მაგრამ მე თუ მკითხავთ, მიუხედავად ჩემი ამერიკული სიმპათიებისა, ამ საკითხში მაინც ფრეს დავაფიქსირებდი.

ტრადიცია მოითხოვს, რომ "ბიტელს"-ის და "როლინგ სტოუნზ"-ის შემდეგ, ჯგუფი "ჰუ" ვახსენოთ. ამათ მიმართ, მე ჩვენთან თავიდან დიდი ინტერესი თითქოს არ მახსოვს, თუ არ ჩავთვლით თანამედროვე "ქსეროქს"-ის წინამორბედ "ერა"-ზე გადაღებულ ეფექტურ პლაკატს, სადაც მომღერალი როჯერ დოლტრი საშინლადაა დაძაბული, ხოლო გიტარისტი პიტ თაუნშენი, წარმოუდგენელ ნახტომშია გამოსახული. რათქმაუნდა, გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ მე მაინც ვიტყოდი: ერთ-ერთი გამოჩენილი ჯგუფი, მანამდე არნახული პროფესიონალიზმით და ბოლოს ამას დაამატეთ, ისტორიაში პირველად შექმნილი, ორი როკ-ოპერა. ამათზეც ბევრი კამათი მომისმენია, მაგრამ ყველა ტოველთვის თანხმდებოდა, რომ "ჰუ"-ს ცხონებული მედოლე კეით მუნი უბრალოდ - გენიოსია! სხვათაშორის მუნმა თავის სოლო ალბომში, ერთ-ერთი კომპოზიციის დოლების პარტია რინგო სტარს მიანდო...

"კინქსი" თავის დროზე მემგონი ცოტა გამოგვეპარა და სათანადოდ ვერც დავაფასეთ. ამათ ყველაზე უფრო ბრიტანულ ჯგუფს უწოდებენ. სიმართლე რომ ითქვას, გვიანდელი ბრიტ-პოპი მეტე არაფერირა თუ არა "კინქს"-ის იდეების უმოწყალო კოპირება. ძმები დევისების გიტარების უხეშ ჟღერადობაში, კრიტიკოსებმა ჰარდ და პანკ-როკის ჩანასახი ამოიცნეს. ამათი მოგონილია კონცეპტუალური ალბომების იდეა, რაც შემდეგ პროგრესულმა როკმა სტანდარტად აქცია. 70-იანების შუაში რამოდენიმე როკ-ოპერაც ჩაწერეს. მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ეს ჯგუფი

დღემდე ოფიციალურად არსებობს და მემგონი ყველაზე ხნდაზმული მოქმედი ანსამბლი დედამიწაზე ესაა.

შემდეგი ჯგუფი წესით "ენიმალს"-ია. აი კიდევ ერთი ზუსტი ქართული თარგმანი - "მხეცები". მხეცები - თბილისური სლენგის მიხედვით, ანუ ძალიან მაგარი ხალხი. "ამომავალი მზის სახლი"-ს ამათი ვერსია დღესაც ისმის ხოლმე, თბილისის ბინების ღია ფანჯრებიდან და თქვენ წარმოიდგინეთ, შავი ჯიპებიდანაც კი. თან არ დაგავიწყდეთ, სიმღერა ორმოცი წლის წინაა ჩაწერილი. ისე, რა გასაკვირია: ამ სიმღერის, მგონი ხუთასი ვერსია არსებობს და "ენიმალს"-ის ვარიანტს, საუკეთესოდ თვლის თითქმის ყველა. ამათ მუდმივად ბრიატნული რითმ-ენ-ბლუზის სათავეში აყენებენ ხოლმე.

რითმ-ენ-ბლუზზე საუბრისას აუცილებლად "იარდბერდს"-ს უნდა შევეხოთ. მემგონი, ესენი არსებობის მანძილზე, მაინცდამაინც საკადრისად არ დაუფასებიათ, სანამ ჯიმი პეიჯმა ის "ლედ ზეპელინ"-ად არ გარდაქმნა. მანამდე კი, აქედან გამოვიდნენ: კიდევ ერთი ვირტუოზი გიტარისტი ჯეფ ბეკი და თვით ერიკ კლაპტონიც. როგორც ჩანს, ამ ჯგუფს განსაკუთრებული გავლენა აქვს, არა მარტო იმ პერიოდის, არამედ დღევანდელ, თან სულ განსხვავებულ მიმართულებების მქონე ანსამბლებზე. "იარდბერდსი" ის ჯგუფია, რომელიც მთელი იმ დროინდელი კულტურული რევოლუციის სიმბოლოდ გამოიყენა მიქელანჯეო ანტონიონიმ, თავის 1966 წლის ფილმში "ფოტო გადიდება". რითმ-ენ-ბლუზის შემდეგ ხსენებაზე, კიდევ

ერთხელ ამერიკაში

მოგვიწევს დავბრუნება, თან ზუსტად იქ, საიდანაც დავიწყეთ. 40-იანების ბოლოს მემფისში, სტუდია "სან"-ის გახსნამდე, სემ ფილიპსი, ეხმარებოდა თურმე ახალგაზრდა ბ. ბ. კინგს, სწორედ რითმ-ენ-ბლუზის კომპოზიციების ჩაწერაში.

კინგის გიტარა, ალბათ ყველაზე უფრო პოეტური ჟღერადობისაა. ამ კაცს დღესაც ეთაყვანება, უამრავი გიტარისტი: ერიკ კლაპტონიდან დევიდ გილმორამდე. კინგი, თანაბრად ჯაზის, ბლუზისა და როკის გიტარისტად ითვლება. 1978 წელს მახსოვს, რუსთაველზე რომ მოსეირნობდა ქართული ქუდით, აეროდრომის სტილში და "პოლაროიდ"-ის ფოტოაპარატით ხელში. მემგონი, ის ერთ-ერთი პირველი ამერიკელი მუსიკოსია, რომელმაც ჩვენს ფილარმონიაში კონცერტი გამართა.

პოეზია თბილისისთვის უცხო რომ არასოდეს ყოფილა, აგერ ამის კიდევ ერთი მაგალითი. ნამდვილი პოეტი და მუსიკოსი, კაცი რომელმაც სიმღერის ტექსტები პოეზიის ნიმუშებად აქცია: ბობ დილანი. მემგონი დილანის ფენომენი, მუსიკოსებში უფრო სათანადოდაა დაფასებული, ვიდრე ჩვეულებრივი მსმენელში. ეს კაცი მთელი თაობების კერპი გახდა. ჯონ ლენონის და ჯიმი ჰენდრიქსის დასახელებაც საკმარისია. დილანს უკავშირდება მთელი მიმდინარეობის შექმნა, რასაც ხალხურ ანუ ფოლკ-როკს ეძახიან. 1985 წელს მოსკოვში მსოფლიო პოეტების კონგრესი გაიმართა. ევგენი ევტუშენკოსა და ანდრეი ვოზნესენსკის მოწვევით, რათქმაუნდა ბობ დილანიც აქ იყო. იქიდან კი პირდაპრი თბილისში გვესტუმრა. სამწუხაროდ ეს დახურული საღამო იყო, რომელიც მწერალთა კავშირში გაიმართა. მთელი ამ ლეგენდიდან, ერთი ნივთმტკიცება მაინც დარჩა: დილანის ფირფიტა მისივე ავტოგრაფით: "ჩემს ძმას ჭაბუას"...

თქვენ პროვინცია ეძახეთ და თურმე რა განებივრებული ვყოფილვართ?! თან, ამას ზედ ჯაზის ფესტივალებიც დაამატეთ. დაფასება უნდა ყველაფერს... ამასობაში ჩვენთანაც მომრავლდა მსმენელიც, თვითმოქმედი მუსიკოსიც და მთელი ამ სიკეთის მყიდველიც, გამყიდველიც და გადამყიდველიც. თავისთავად გაჩნდა, კოლექტიური აქტიურობის მოთხოვნილება. ვთქვათ, ფირფიტების გაცვლა, ყიდვა ან გაყიდვა, ბოლოს და ბოლის გადასაწერად უანგაროდ თხოვება. საბჭოთა რეჟიმის პირობებში, ამაზე ოცნებაც კი ზედმეტი იყო. მეტიც, ეს პირდაპირ კონსტიტუციას

ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ ბოლოს, საქმე მაინც მოგვარდა ისეთი ადგილებში, როგორიცაა

ბაღი

ეს ჩვეულებრივი ბაღი არ გეგონოთ, სადაც მშრომელ ადამიანს მოსავალი მოჰყავს. პირიქით, ასეთ ბაღში მუდამ ზეიმი იყო. გამოიყურებოდა ეს ყველაფერი, როგორც ქალაქში არსებული, კულტურისა და დასვენების პარკი. აქ ძალაინ მნიშვნელოვანია, სიტყვები: კულტურა და დასვენება, რომელიც სახელმწიფომ დაარქვა ასეთ ადგილებს, მაგრამ მემგონი მთლად ეფექტურად მაინც ვერ განახორციელა, ვერც ერთი და ვერც მეორე ფუნქცია. აი მაგალითად: ერთხელ ჩემმა ხელმძღვანელმა - მაესტრომ აღშფოთებულმა მიამბო, როგორ მიაბრძანეს თავის ძმებთან - შალიკოსა და გრიშასთან ერთად, სადაც ჯერ არს, იმის გამო, რომ ისინი კულტურულად ისვენებდნენ, ერთ-ერთ ასეთ ბაღში - მართალია, არა ღვინის გარეშე. ხომ გახსოვთ, ერთი დიდი კაცი რას ამბობდა: ძმებო, ავაშენოთ ერთი ხის სახლი, ვსვათ ჩაი და ხელოვნებაზე ვისაუბროთო? ჰოდა, რადგან "ხრუშოვკებ"-ში ეგ საქმე არ გამოვიდა, თვითონ ასეთმა ბაღებმა გვიკარნახეს ყველაფერი. ერთი თავისებურება: ბაღს არ ჰქონდა მუდმივი მისამართი, როგორც ბოშათა ბანაკს. მისამართის მოქმედების ვადა განისაზღვრებოდა მილიციელების მიერ, ასეთი ბაღის წევრების დაწიოკებამდე. მაგალითად, თუ თქვენ იყავით ვერის ბაღის წევრი და გაგიწვიეს ჯარში, საფიქრებელია, რომ დაბრუნებულს ბაღი დაგხვედროდათ, ვთქვათ მუშთაიდში. ამიტომ, საჭირო იყო მჭიდრო კონტაქტი წევრებს შორის, როგორც ეს საიდუმლო ორდენებს ახასიათებთ. მუშაობის რეჟიმი: რადგან კულტურული ხალხი კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში არ შედის და თან დასვენებასაც დიდ პატივს სცემს, სამუშაო საათები ასე განისაზღვრა: შაბათი და კვირა, შუადღიდან ვიდრე საღამომდე. და ბოლოს: არანაირი წესდებები, საწევროები, სიმბოლიკა და სხვა ატრიბუტიკა. მემგონი, კულტურაც დაცულია და დასვენებაც. მეტიც, ასეთი ბაღები

ალბათ დემოკრატიის პირველი ოაზისები იყო. და სულ სულ ბოლოს: ამ ყველაფერმა ინერციით ლამის დღემდეც კი მოაღწია.

ბრიტანული ხანძრის არ იყოს, ამასობაში ამერიკაშიც ახალი აფეთქება მოხდა. ეპიცენტრი - სან-ფრანცისკო, ზოგადად კალიფორნია და ბოლოს მთელი კონტინენტი. კრიტიკოსებმა სან-ფრანცისკოს ამერიკული ლივერპულიც კი შეარქვეს. მე რომ მკითხოთ, დიდი ვერაფერი ეპითეტია მაინც. სანამ აქაურ ჯგუფებს, პატივს მივაგებთ, განსაკუთრებით ორ გენიას მინდა ქედი მოვუხაროთ. მეფეს და დედოფალს, თეთრს და შავს, ქალს და კაცს. ორივემ 26 - 27 წელი თუ იცოცხლა, მაგრამ სულ ორიოდე წელში ლეგენდად იქცა და ორივე მართლაც ქარიზმატული პიროვნება აღმოჩნდა. ამ სიტყვის გამო, დიდი ხნის უკან, ჯერ კიდევ ინტერნეტი რომ არ გვქონდა, მაესტროს ვკითხე: ეგ ქარიზმა რა არის მეთქი და ზუსტად ამიხსნა: კლიმ, აი შეხედე ჩემს მარცხენა მკლავსო. ჰოდა, აბა რომელიმე დიდი მწერლი დამისახელეო. სერვანტესი მეთქი, მივახალე და მეუბნება: აი ხედავ, როგორ დამბურძგლაო... ბურძგვლის რა მოგახსენოთ, მაგრამ როგორც მაესტრო ამბობს: ყოველი ნამდვილი წიგნის წაკითხვის, მე დავამეტებდი: და ნამდვილი ჩანაწერის მოსმენის შემდეგ, ხდები უკეთესი ვიდრე იყავი. როკიც ზუსტად ეგაა ჩემი აზრით. მარგამ ამაზე მკვლევარებმა იკამათონ, ჩვენ კი განვაგრძოთ იმ კაცზე საუბარი, რომლის სახელია

ჯიმი ჰენდრიქსი

გიტარის მეფე სიცოცხლეშივე უწოდეს. თავიდან ლონი იანგბლადთან და კერტის ნაითთან უკრავდა. მერე "ენიმალს"-ის ბრაიან ჩენდლერს ლონდონში წაუყვანია. სამივე დისკი ჰენდრიქსმა აქ ჩაწერა, თავის ჯგუფ "ექსპერიენს"-თან ერთად. დილანს თავისი "საგუშაგო კიშკის" ჰენდრიქსისეული ვერსია რომ მოუსმენია, უთქვია: ჯიმის ვარიანტი ჩემსას ბევრად ჯობიაო. თვითონ ჯიმი, დილანის ლექსების წიგნს

სიკვდილამდე ჯიბით ატარებდა თურმე. ტრიუმფალური გამოსვლა ჰქონდა 1967 წელს, მონტერეის ფესტივალზე, სადაც შოუს ბოლოს თავის გიტარა დაწვა. 1969 წელს ვუდსტოკის ფესტივალისთვის ახალი "ბოშათა ჯგუფი" შეკრიბა. ეს გამოსვლა ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება, სადაც ჯიმიმ ამერკის ეროვნული ჰიმნი თავდაყირა შეასრულა, როგორც ფრენსის ბეკონმა - ველასკესის "ინოკენტი მეათე". მე მგონია, რომ სწორედ ეს არის ის რასაც ფსიქოდელიას ეძახიან. 60-იანების ბოლოს, ისევ ამერიკაში დაბრუნდა და საკუთარი სტუდია "ელექტრიკ ლედი" შექმნა. აქ ჩაწერილი უზარმაზარი არქივიდან, მისი სიკვდილის შემდეგ სამასზე მეტი ჩანაწერი გამოვიდა. და ბოლოს როგროც გიტარისტმა, ამ ინსტრუმენტის შესაძლებობები ბოლომდე ამოწურა.

ჯენის ჯოპლინი

ბლუზის დედოფალი, მასაც სიცოცხლეში შეარქვეს. მანაც მონტერეის ფესტივალზე გაიბრწყინა პირველად და დღემდე კაშკაშებს. ამ დროისთვის "უფროს ძმა"-სთან ერთად უკვე ჩაწერილი ჰქონდა პირველი დისკი. ეს "უფროსი ძმა" ერთ-ერთი ის ჯგუფია, პატივი რომ უნდა მივაგოთ, მაგრამ მე მაინც არ მეგულება ანსამბლი, რომელიც ჯოპლინის მუსიკალურ დონეს ბოლომდე დააკმაყოფილებდა. შემდეგი ალბომისთვის, მილიონზე მეტი წინასწარი განაცხადი მოგროვდა, ანუ ალბომს გამოსვლამდე უკვე ოქროს სტატუსი ჰქონდა. 1969 წელს, ვუდსტოკის ფესტივალზე ისიც ახალი, "კოზმიკ ბლუზ ბენდ"-ით გამოდის და ამათთან ერთად ევროპაში მოგზაურობს. წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ ჩვენთანაც ყველა ჯოპლინზე ლაპარაკობდა. რამდენ ოჯახში მინახავს, "ერა"-ზე გადიდებული მისი შავ-თეთრი ფოტო: უზარმაზარი მზის სათვალით და უამრავი მძივებით მორთული. სამწუხაროდ, ბოლო ალბომის სიმღერისთვის, "ბლუზში ცოცხლად დამარხული" ვოკალის ჩაწერა ვერ მოასწრო...

ქართულიც და როკის ტრადიციაც მოითხოვს, რომ წასულებში შემდეგი ჯიმ მორისონი ვახსენოთ. მის გარეშე "დორსი" ალბათ არც იარსებებდა. მემგონი, ამ ჯგუფმა დროს გაუსწრო და უფრო მეტად წლების შემდეგ გაიბრწყინა. ოლივერ სტოუნის ამავე სახელწოდების ფილმი, რომელიც ამდენი წლის დაგვიანებით ისევ მათ ისტორიას ეხება, ალბათ ამას მოწმობს. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ "დორსი" იმდენად არაჩვეულებრივი მოვლენაა, რომ მათი მუსიკის აღქმა სერიოზულ მომზადებას საჭიროებს. ეს ხალხი, მორისონის მეამბოხე ხასიათის გამო მუდმივ სკანდალებში იყო. ამიტომ მათ ვერ ნახავთ ვერც მონტერეის და ვერც ვუდსტოკის ფესტივალებზე. ქარიზმას რაც შეეხება, მემგონი შემთხვევით არ განისვენებს ჯიმ მორისონი შოპენისა და ოსკარ უაილდის გვერდით.

შემდეგი ადამიანი, მინდა ბაირონს, ან თუნდაც გალაქტიონს შევადარო. ტიმ ბაკლის ნიჭმა მემგონი ისე სწრაფად გაიელვა რომ, მისი დაფასება ჯერ კიდევ წინ გვაქვს. იქნებ სხვების ჩრდილშიც მოექცა, ან იქნებ თავისი მოკრძალებული ხასიათის გამო, ამბიციებისთვის დრო არ ჰქონდა. მისი საფლავიც კი არ არსებობს და მემგონი უნიკალური შემთხვევაა ისიც, რომ მისი შვილი ცხონებული ჯეფი, თითქოს უფრო ცნობილია ფართო მსმენელისთვის, ვირდე თვითონ. მსგავსი დრამატული სიღრმის მქონე მეორე მუსიკოსის პოვნა, მემგონი მართლა შეუძლებელია. სტილისტურად 1969 წლის "ლორკა" მკვეთრ ანალიზს არც ექვემდებარება, ისევე როგორც მომდევნო "ვარსკვლავებში მოცურავე". ალბათ ის ერთ-ერთ პირველი იყო, ვინც როკში ჯაზის ელემენტების გამოყენებას ცდილობდა.

ამ სიმბოლურ ხუთეულს სკიპ სპენსით შევავსებ, რომელმაც მხოლოდ ერთი ალბომი დატოვა, 1969 წლის "ნიჩაბი". ეს თითქოს თავისი თავისთვის ჩაწერილი აკუსტიკური დისკი, რომელიც თვითონ სპენსის მიერ ოდნავ ელექტრონიკითაა შეფერადებული, დღეს ფსიქოდელიის სტანდარტად და საკულტო ჩანაწერად ითვლება. სან-ფრანცისკოში კანადიდან ჩამოვიდა და როგორც მულტიინსტრუმენტალისტი ჯერ

"ქვიკსილვერ"-ის გიტარისტი იყო, შემდეგ "ჯეფერსონ"-ის მედოლე და ბოლოს "მობი გრიპ"-ს შეუერთდა, რომელიც ამერიკული ფოლკ-ფსიქოდელიის პიონერად ითვლება. სპენსმა "ნიჩაბი"-ს შემდეგ, სიკვდილამდე იავადმყოფა. სულ ახლახანს თანამედროვე მუსიკოსებმა, მის გენიას პაიტივი მიაგეს და "ნიჩაბი"-ს საკუთარი ვერსია ჩაწერეს, სახელწოდებით "მეორე ნიჩაბი". მონაწილეთა შორის იყვნენ: რობერტ პლანტი, ტომ უეითსი და სხვები.

აქ მემგონი ჰიპური გალერეა მივიღეთ: "სიყვარული ომის ნაცვლად", გრძელი თმები და გაცვეთილი ჯინსები, ერთი სიტყვით - აბსოლუტური თავისუფლება. ვიეტნამის ომს და წითელ საფრთხეს თუ გავიხსენებთ, გასაგები გახდება თავისუფლების და მშვიდობის ასეთი წყურვილი იმდროინდელ ამერიკაში. მე რომ მკითხოთ, ჰიპობა ამერიკისთვის მართლა მოძრაობა იყო, ევროპისთვის ალბათ უფრო მოდა, ჩვენთვის კი, ალბათ მაინც ვოდევილი. ერთი სიტყვით ამ მოძრაობის ავანგარდში, ისევ ამერიკული როკ-ჯგუფები აღმოჩნდნენ.

აქვე ბარემ "ჯეფერსონის თვითმფრინავს" დავასახელებდი. ეს მართლა იშვიათი ინტელექტის ჯგუფი, დღესაც არსებობს "ჯეფერსონის ხომალდის" სახელით. ამათი პირველივე ჩანაწერებიდან დაიწყო, შემდეგში წესად ქცეული, სიმღერის ტექსტებზე ცენზურის კონტროლი. ასე იქნა ამოგლეჯილი "სირბილით მსოფლიოს გარეშე" ამათი პირველი ალბომიდან. ეხლა ცოტა მიკვირს, თავის დროზე როგორ არ ვაფასებდით ასეთ ფირფიტებს, რომელთა ფასი დღეს ათას დოლარს აღწევს. მაგრამ რას იზამ, ეტყობა ჯერ ბრიტანული მძიმე როკი გვქონდა მოსანელებელი. "დორს"-თან ერთად, ეს და "გრეიტფულ დედი" ალბათ ყველა დროის, ყველაზე დიდი ამერიკული ჯგუფებია.

"გრეიტფულ დედ"-ის სახელწოდების საიდუმლო, ამათმა ლიდერმა ჯერი გარსიამ, იმ ქვეყნად წაიღო. ამ უნიკალური გიტარისტის წყალობით, გაჩნდა როკში

თავისუფალი იმპროვიზაცია. თითო საკონცერტო ნომრები ნახევარ საათსაც გრძელდებოდა თურმე. ეს იშვიათი ჯგუფია, ვინც თავის მსმენელს უფლებას აძლევდა, ჩაეწერათ ნებისმიერი მათი საკონცერტო გამოსვლა. ასე გაჩნდა ამათი თაყვანისმცელემთა უზარმაზარი არმია. რომელიც ერთი დიდ საზოგადოებრივ ფენა ჩამოყალიბდა. თუმცა ჯგუფი დაიშალა, მაგრამ ესენი დღესაც არსებობენ და ინტერნეტის განვითარებაშიც კი აქვთ თავიანთი წვლილი, იმ თვალსაზრისით, რომ ერთ-ერთი პირველი ინტერნეტ ქსელი მათ შექმნეს თავიანთი წევრებისთვის. ეს ის ხალხია, დღესაც გრძელ თმას და ტყავის ტანსაცმელს რომ ატარებენ, მოტოციკლებით

არხეინად მოჯირითეები

სწორედ "არხეინად მოჯირითე" დაარქვეს თავიანთ 1969 წლის ფილმს, დენის ჰოპერმა და პიტერ ფონდამ. სხვათაშორის, მანამდე ამ სტუდიაში, ტელესერიალისთვის შეიქმნა ჯგუფი "მანქისი". როგორ ვნატრულობდით იმ დროს ამ ფილმის ნახვას ან "კინოს სახლ"-ში ან "გაზაფხულ"-ში, მაგრამ საბჭოთა ცენზურას რათქმაუნდა არ ეძინა. მარტალია ბოლოს სიბერეში კი გვეღირსა, როგორც იქნა. ძველი მეგობრები დღეს ხშირად ვამბობთ ხოლმე: "ნეტავ ეს რომ მაშინ გვენხა?!", მაგრამ ღმერთმა დაგვიფარა, კიდევ კარგი. აი ამ ფილში ჟღერს ის მუსიკა, უთვალავ კლიმს, რომ გაუხარდება.

"არხეინად მოჯირითის ბალადა", რომელიც ამ ფილმისთვის დაიწერა ეკუთვნის ჯგუფ "ბერდს"-ს და იმავე წელს ცალკე ალბომადაც გამოვიდა. ამ და ბევრი სხვა სიმღერის თანაავტორი ბობ დილანია. დილანთან, ასეთივე მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდა კიდევ ერთ საინტერესო ჯგუფს "ბენდ", კანადიდან. ითვლება რომ "ბერდსი" ქანთრი-როკის სათავეებთან დგანან. იმასაც ამბობენ, რომ ამათ შექმნეს ფსიქოდელიის პირველი ნიმუში, 1965 წლის სიმღერა "რვა მილით მაღლა".

აქედან დაიწყო თავისი კარიერა დევიდ ქროსბიმ, როლმელმაც შემდეგ "ქროსბი, სტილსი და ნეში" შექმნა. ეს ის გრემ ნეშია, თავის პირველ ჯგუფს ინგლისში, "ჰოლის" რომ დაარქვა. სტივენ სტილსი, კანადელი მუსიკოსი კი მანამდე, ნილ იანგთან ერთად კალიფორნიულ "ბაფალო სპრინგფილდ'-ში გამოდიოდა. "ბიჩ ბოის"-ის შემდეგ ამათმა, ვოკალური ჰარმონიები სრულყოფის მწვერვალზე აიყვენეს. ვუდსტოკის ფესტივალზე, მათ ნილ იანგიც შეუერთდა, რაც შემდეგ წლებში ტრადიციად იქცა.

ნილ იანგი, ალბათ ყველაზე დიდი კანადელი მუსიკოსია. ამ კაცის რომელიმე სტილისტურ ჩარჩოში მოქცევა შეუძლებელია. დაწყებული აკუსტიკური ქანთრით და დამთავრებული უმძიმესი ჰევი-მეტალით. გრანჯისა და ალტერნატიული როკის მუსიკოსები იანგს თავის წინამორბედად თვლიან. მე ერთ-ერთ საუკეთესო ფილმის მუსიკალურ გაფორმებად, ჯიმ ჯარმუშის "მკვდარი კაცი"-სთვის დაწერილ იანგის მუსიკას დავასახელებდი. 1989 წლის აპრილის თბილისის და იმავე პერიოდის, ჩინელი სტუდენტების პოლიტიკურ გამოსვლებს მან სიმღერა მიუძღვნა. ეს კომპოზიცია სახელად "როკვა თავისუფალ სამყაროში", მას მერე ყოველთვის სრულდება ხოლმე, საკონცერტო შოუებსა და დიდ აქციებზე, როგორც თავისუფლების ნამდვილი ჰიმნი.

ლამის მთელი 60-იანების ჰიმნად კი, ისევ "არხეინად მოჯირითე"-ში გაჟღერებული "თავისუფლებისთვის დაბადებული" იქცა. "სტეპნვოლფ"-ის ეს სიმღეა, 1968 წელს ევროპაში მომხდარ პოლიტიკურ მოვლენებს ეხმაურება. ითვლება რომ ჰევი-მეტალი, როგორც ტერმინი სწორედ ამ სიმღერის ტექსტიდან მოდის. "ტრამალის მგელი"-ც კანადიდან ჩამოვიდა კალიფორნიაში. ეს სახელი ხომ ჰერმან ჰესეს ნოველაზე მიუთითებს, ისიც ხომ მოგეხსენებათ, ვასიკო კეჟერაძე მხოლოდ ლიტერატურას რომ აღიარებს. ჰოდა მახსოვს პირველად მაშინ მოვულბე გული ამათი ფირფიტა რომ ვანახე. თბილისში მაშინ ასე 1973 თუ 75 წელი იდგა.

"ლავ" - ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი ხელწერის ამერიკული ჯგუფი. ამათ წინ კონცერტებზე თავიდან თვით "დორსი" გამოდიოდა. ესენი ერთ-ერთი პირველები არიან, ვინც თავის კომპოზიციებში სიმებიან ორკესტრს იყენებდა. 1967 წლის "მუდმივი ცვლილებები", ამერიკული ფსიქოდელიური როკის კლასიკად ითვლება. თუ არ ვცდები, პირველმა სწორედ ამათა ჩაწერეს, 19 წუთიანი კომპოზიცია, ფირფიტის მთელ მხარეზე. 1970 წელს, ლონდონში ყოფნისას "ლავ"-თან ერთად თვით ჯიმი ჰენდრიქსმა დაუკრა. ეს ჩანაწერი ახლახანს გამოიცა, რაც გენიალური არტურ ლი გარდაიცვალა.

სან-ფრანცისკოს კიდევ ერთი გამორჩეული ჯგუფია "ქვიკსილვერი". მე რომ მკითხოთ, ამათი ჩანაწერები, ელექტრო გიტარის მასტერკლასია და ჯონ ჩიპოლინოს გიტარის ხმა მართლაც ვერცხლისწყალს მაგონებს. ამათაც მონტერეის ფესტივალზე გაიელვეს. სამწუხაროდ, ეს ხალხი უფრო საკონცერტო გამოსვლებს ახმარდა თავის დროს, ვიდრე სტუდიურ მუშაობას. ალბათ "ქვიკსილვერ"-მა, "ბლუზ პროჯექტ"-თან ერთად პირველმა ამერიკული ჯგუფებიდან, თავის კომპოზიციებში ევროპული კლასიკის ელემენტების გამოყენება სცადა, რაც შემდეგ თვითონ ევროპულმა ჯგუფებმა აიტაცეს, როგორც პროგრესული თუ ართ-როკი.

თითქმის ყველა დიდი ფესტივალის მუდმივი სტუმარი "ქანთრი ჯო ენდ ფიში", ალბათ ყველაზე უფრო პოლიტიკურად აქტიური ანსამბლი იყო. ესენი გამუდმებით უპირისპირდებოდნენ, იმ დროს ვიეტნამში მიმდინარე ომს. საინტერესოა, რომ ამ სახელში "ქანთრი ჯო" ი. ბ. სტალინის ამერიკულ ფსევდონიმს წარმოადგენს. კიდევ ერთი ვიეტნამის აქტიური მოწინააღმდეგე და ასევე ფესტივალების უცვლელი მონაწილე, ელექტრონული ბლუზის ლიდერებად მიჩნეული "ქენედ ჰითი". ზუსტად ეს სიტყვები ეწერა, იმ დროს ვიეტნამში გამოყენებული, ასაფეთქებელი ნაერთის - ნაპალმის ყუთებს.

და ბოლოს მოჯირითეების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი "აირონ ბატერფლაი". ითვლება რომ ეს "რკინის პეპელა"-ა პირველი ნამდვილი მძიმე როკის და ჰევი-მეტალის ამერიკული ჯგუფია. მათი მეორე ალბომი "ინ-ა-გადა-და-ვიდა" ერთ-ერთი პირველია, სადაც ამავე სახელწოდების 17 წუთიან კომპოზიციას ფიფრფიტის მთელი მეორე გვერდი უჭირავს. მხოლოდ 1968 წლის განმავლობაში ეს დისკი ოთხი მილიონი ცალი გაიყიდა. ამის გამო დაარსდა პლატინის სტატუსი. თუ არ ვცდები ეს რეკორდი დღესაც ძალაშია. მახსოვს, 1988 წელს მოსკოვის პირველმა არხმა რომ გადმოსცა, სტუდია "ატლანტიკ"-ის 40 წლის თავის საიუბილეო კონცერტი. თქვენ წარმოიდგინეთ რამხელა მოულოდნელობა იყო, სცენაზე სწორედ ეს ლეგენდარული ხალხი რომ გამოვიდა...

60-იანების მთელ ამერიკულ ოდისეას, სპეციალისტები ორ მთავარ მოვლენას - ორ ლეგენდარულ ფესტივალს შორის აქცევენ ხოლმე, რომლებიც უკვე რამოდენიმეჯერ ვახსენეთ. პირველი თითქოს დასაწყისია, მეორე - დასასრული. ერთმა სერიოზულმა გამოცემამ ასეც კი მოიხსენია ეს ყველაფერი: ნათელიდან ბნელამდეო. ისე, ეს სერიოზულობა ეტყობა ძალიან პირობითი რამაა. ერთი სიტყვით, ამათგან პირველია 1967 წლის

მონტერეი

ამ "მუსიკის, სიყვარულის და ყვავილების" ფესტივალზე, სამ დღის განმავლობაში 200 ათასი მაყურებელი ტკბებოდა ჩვენთვის კარგად ნაცნობი ჯგუფების შემოქმედებით. ამ ყველაფრის ერთ-ერთი ორგანიზატორი ჯონ ფილიპსი იყო, ჯგუფიდან "დედები და მამები". ამ ჯგუფის ორმაგი ფირფიტა, მემგონი ერთ-ერთი პირველი გადმოიბეჭდა საბჭოთა კავშირში. ფესტივალიც მათ გახსნეს, რის შემდეგაც ფილიპსმა დიდი პატივით "საიმონი და გარფანკელი" წარადგინა. ამ, ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო დუეტის მუსიკა, იმდროინდელი ვნებათაღელვის ფონზე თითქოს

ერთგვარ ოაზისს წარმოადგენდა. სხვათაშორის, პოლ მაკარტნის რეკომენდაციით ჩამოიყვანეს ჯიმი ჰენდრიქსი. ის პუბლიკას ბრაიან ჯონსმა წარუდგინა, რომელიც მაყურებელთა შორის იყო. მალე ამ ფესტივალზე არაჩვეულებრივი ფილმიც გამოვიდა. მე რომ მკითხოთ, ეს ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ფესტივალია როკ მუსიკის ისტორიაში. თუმცა, უმრავლესობა უპირატესობას მაინც მეორე ფესტივალს ანიჭებს, რომელის სახელია 1969 წლის

ვუდსტოკი

საიდანაც ჩვენი თხრობა დავიწყეტთ. ამჯერად უკვე ნახევარ მილიონიანი აუდიტორია, ოთხი დღით ნიუ-იორკთან ახლოს შეიკრიბა. ჩვენთვის ისევ ნაცნობი და ზოგიც ახალი სახელები. ამბობენ ფესტივალის განმავლობაში სამი მაყურებელი გარდაიცვალა და ერთიც ამდენი დაიბადაო. ვუდსტოკის ამსახველმა ფილმმა მომდევნო წელს "ოსკარი"-ც კი მიიღო. ეს ფესტივალი, მისი ყველა მონაწილისთვის უზარმაზარი ტრამპლინი აღმოჩნდა როგორც მაგალითად ინგლისური "თენ იერს აფთერი"-სთვის. ამათმა გიტარისტმა, ალვინ ლიმ მთელს მსოფლიოში გაითქვა სახელი, როგორც ერთ-ერთმა ყველაზე ტექნიკურმა გიტარისტმა. მას მერე ტრადიციად დამკვიდრდა ვუდსტოკის საიუბილეო შოუების მოწყობა. მართალია ამერიკელები მონტერეის ჰიპური მოძრაობის დასაწყისად მიიჩნევენ, ვუდსტოკს კი დასასრულად, მაგრამ ბრიტანელებისთვის ყველაფერი მხოლოდ ეხლა იწყება. ჰოდა, ჩვენი მეორე მისიაც, ალბიონზე ისევ ფესტივალით იწყება.

დევების კუნძული

ასეთი კუნძული ინგლისის სამხრეთით მდებარეობს. "ბეჭდების მბრძანებელი"-ს არ იყოს, იქაურ ლეგენდებს თუ დავუჯერებთ, თავიდან ეს კუნძული კეთილი დევებით ყოფილა დასახლებული. ჰოდა, ეტყობა ასეთი "დევების" გამოჩენა აქ ერთგვარი

ტრადიციაა. 1970 წელს აქ უზარმაზარი ფესტივალი გაიმართა, სახელად "აილ ოვ უაით". "გინესი"-ს რეკორდების წიგნი გვამცნობს: ამ ხუთ დღიანმა ფესტივალმა, 700 ათსზე მეტ ადამიანს მოუყარა თავიო. მათ შორის, იმ დროინდელი ბრიტანული ჯგუფების უმრავლესობა, ასევე მომავალი ვარსკვლავების დებიუტი და ბოლოს ჯიმი ჰენდრიქსის ერთ-ერთი უკანასკნელი გამოსვლა და მთავარი - თვით "დორსი", თავისი დიდების უკანასკნელ დღეებში. ასეთ ღონისძიებაზე მოხვედრისათვის, მაშინ ჩვენთან არც არავის უოცნებია. სამაგიეროდ სწორედ ბრიტანულმა როკმა შეცვალა უთვალავი კლიმის ცხოვრება, სამუდამოდ...

გაზაფხულის ერთ წვიმიან დღეს, ორი მეგობარი მესტუმრა. ერთი ბავშვობის, მეორე მაშინდელი საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების წევრის ახლო ნათესავი. ზუსტად არ მახსოვს, ჩვენი ფეხბურთელები რომელი ქვეყნიდან დაბრუნდნენ, თან ხელცარიელი არა. ჰოდა, ეს ჩემი მეორე მეგობარიც, შესაბამისად ხელდამშვენებული მოვიდა. საწყალი მაშინდელი ჩემი მონო ფირსაკრავი, ცალ დინამიკიანი "აკორდი" უკვე ჩართული მქონდა, ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავედით: ლამაზად გაფორმებული ცელოფნის პაკეტი გავხსენით და იქიდან დისკები ამოვიღეთ, როგორც მუზეუმის ერთგული თანამშრომელი იღებს თეთრი ხელთათმანებით, პირველყოფილი ადამიანის თავის ქალას. ისე, ეხლა კი მეცინება, მაშინ აქედან არცერთი დასახელება რომ არ ვიცოდით. პირველი ჩავრთეთ ფირფიტა, რომლის ყდაზეც თითქოს ზღარბი ეხატა, თან თითქოს ტანკსაც ჰგავდა, წარწერაც ბოლმდე ვერ გავარჩიეთ. მოკლედ პირველ მხარეზე, 20 წუთი ორღანს ვუსმინეთ და ვერაფერი ვერ გავიგეთ. სტუდენტი გამოცდაზე ბილეთს რომ არჩევს, მეორე დისკი ისე ამოვარჩიეთ. ამას გარედან საერთოდ არაფერი არ ეწერა, ზედ მხოლოდ ერთი ძროხა ეხატა, თან ზურგშექცევით. ესეც ასე 20 წუთი გაგრძელდა თავისი ორკესტრითა და კაპელით. ცოტა არ იყოს მოვიწყინეთ, მაგრამ არ ვიმჩნევდით. მოკლედ, "კოლხეთი" გავაბოლეთ და "ენისელი"-ც მივაყოლეთ. შემდეგს, ბოლოსთვის გადადებულ რაღაც საეჭვოს, უხალისოდ მივადექით, რომელსაც წინ თითქოს "ქსეროქს"-ზე გადაღებული, შავ-

თეთრი დამტვრეული რაკეტა ეხატა. ისე რაც მართალია მართალია, სახელი ნამდვილად გარკვევით ეწერა:

"ლედ ზეპელინ"

აი აქ დაგვრჩა ოხრად "კოლხეთი"-ც, "ენისელი"-ც და მანამდე მოსმენილი ყველა ფირფიტაც. ეს ალბათ, ყველაზე დიდი ჯგუფია როკის ისტორიაში. ამათ ხშირად ღმერთებსაც უწოდებენ ხოლმე. მე უბრალოდ ერთ რამეს ვფიქრობ: ხელოვნება სპროტი არ არის და აქ 1, 2 და 3 ადგილები არ არსებობს, ამიტომ მგონია რომ, "ყველაზე დიდი ჯგუფი როკის ისტორიაში" შეიძლება რამოდენიმე ერთად არსებობდეს, თან რაც უფრო მეტი, მით უკეთესი! ეს ალბათ ის შემთხვევაა, გემოვნებაზე რომ არ დავობენ. მაგალითად: კიდევ ერთი ყველაზე დიდი ჯგუფი როკის ისტორიაში შეიძლება იყოს, აი ის ძროხა რომ ეხატა ზურგშექცევით.

"პინკ ფლოიდ"-ის წინაშე, უკვე ყველა ციხე-სიმაგრე დაეცა. საბჭოთა ტელევიზიამ მართლა მეტისმეტი ქნა: ლამის ყოველ მეორე ფილმს თუ გადაცემას ამათი რომელიმე კომპოზიცია ჰქონდა დადებული. როგორც მაესტრო ამბობს: იყო მკითხველი, მე დავამატებდი და მსმენელი, ეს სასწაულიაო. მახსოვს ჟურნალ "სმენა"-ში ვრცელი წერილი და ამ ხალხის ფოტოებიც კი დაიბეჭდა. რათქმაუნდა ეს ყველაფერი კომკავშირულ სტილში. მაგალითად, აქ აუცილებლად წააწყდებოდით დაახლოებით ასეთ აზრს: ანსამბლი ცალსახად უპირისპირდება კაპიტალისტური სამყაროს ყალბ მორალსო. ისე, მე რომ მკითხოთ აქ ყველაფერი სწორია, უბრალოდ სიტყვა "კაპიტალისტური"-ა ცოტა ზედმეტი.

ცენზურას, განსაკუთრებით ის ზღარბიანი თუ ტანკიანი ანსამბლი მოეწონა. ჟურნალმა "ოგონიოკ"-მა, "ემერსონ, ლეიკ და პალმერ"-ს ძალიან მეგობრული წერილი მიუძღვნა, იმის გამო რომ ამათ, დიდი რუსი კლასიკოსის, მოდესტ მუსორგსკის

საფორტეპიანო სუიტა "სურათები გამოფენიდან", თავისებურად გადაამუშავეს და დამოსცეს. ყველაზე საინტერესო ამ წერილის ფინალი იყო, სადაც ჟურნალისტმა მოულოდნელად ჯგუფი "ჰუ" მიწასთან გაასწორა იმის გამო, რომ თურმე ამ უკანასკნელთ, სცენაზე ინსტრუმენტების განადგურება ყვარებიათ. რეზუმე: კაპიტალიზმშიც არსებობენ ღირსეული (ემერსონი) და უღირსი (ჰუ) ხალხიო. ეტყობა ამ ღირსეულთა ხათრით, გაყიდვაში შემოვიდა წითელი ფერის პოლონური ფირფიტა სახელად: "კეით ემერსონი და ნაისი". და ბოლოს 80-იანებში, საბჭოთა ფირფიტების მონოპოლისტმა "მელოდია"-მაც გადმობეჭდა ამათი 1986 წლის ალბომი.

ამასობაში, კიდევ ერთი ასეთი ამბავი გავიგეთ: ერთ ჩვენი ნაცნობის ნაცნობს "თ ემქა"-ზე, გასტროლებიდან დაბრუნებული "სუხიშვილები"-საგან საჩუქრად მიუღია რაღაც დისკი: ოქროსფერი ყდით, ორად იხსნებოდა თურმე, ცოცხლად ყოფილა ჩაწერილი, შიგ ერთდროულად ორი ფირფიტა დებულა წერწერით: "მადე ინ ჯაპან"... ვითომ საჭიროა იმის თქმა, მოსვენება რომ დავკარგეთ? მოკლედ, ამ მდგომარეობაში ერთი თვე მაინც მოგვიწია ყოფნა. მაშინ ასე ხდებოდა ხოლმე: ეს თქვენი ფირფიტა, მთელ ქალაქს შემოივლიდა და ბოლოს, იქნებ დაგბრუნებოდათ კიდეც. ჰოდა, ასე გავიცანით ეს "დიფ ფარფლი". "ბიტელს" - "როლინგ სტოუნზ"-ის არ იყოს, დაიწყო ერთი კამათი და ნერვიულობა: "დიფ ფარფლი" თუ "ლედ ზეპელინი", ჯიმი პეიჯი თუ რიჩი ბლეკმორი, რობერტ პლანტი თუ იან გილანი. ასე გაგრძელდა, ვიდრე ეს უკანასკნელი თბილისში არ ვნახეთ ცოცხლად. თან აქ ჯვარიც რომ დაიწერა, ეტყობა ქართველებმა ეს კაცი ჩვენიანად მივიჩნიეთ და მემგონი, ამ მომენტიდან "ლედ ზეპელინ"-მა გაიმარჯვა. მართალი ყოფილა ვინც თქვა: შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო...

მძიმე როკი გახდა ჩვენთვის ყველაფერი. ვოკლაურ ინსტრუმენტულმა ანსამბლმა "ივერია"-მ თავის რეპერტუარშიც კი შეიტანა "იურაი ჰიპ"-ის სიმღერა "განთიადი". საინტერესოა, ზუსტად ამ გახსენებაზე ეს "იურაი ჰიპი" ამ დღეებში თბილისში რომ

გვესტუმრა! უცნაური ის იყო, მაესტროსაც რომ მოეწონა ეს ჯგუფი. ისე, მემგონი ეს მაინც დიკენსის ხათრით მოუვიდა. სხვათაშორის "მელოდია"-მ ამათი 1977 წლის დისკიც გადმობეჭდა თავის დროზე, მაგრამ ყდა არ მოაყოლა. ალბათ ზედმეტი რომ არ მოგვსვლოდა. ეგეთი ჩვევა ჰქონდათ: ყდა ცარიელი იყო ხოლმე და ზედ მხოლოდ რუსულად ნათარგმნი სახელი ეწერა. რითი მოიგო "იურაი ჰიპ"-მა საბჭოთა ცენზურის გული ნამდვილად ვერ გეტყვით. რამდენადაც ვიცი, არც მუსორგსკზე და არც სტრავინსკზე ეს ჯგუფი არ გიჟდებოდა. ნუთუ ისევ დკიენსით? თუმცა, ერთხელ მახსოვს, ჩვენს ფოტო სალონში, მაგ ცენზურის ტიპიური წარმომადგენელი მოვიდა და რომ გაიგო, მაესტროს ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, უცებ აღფრთოვანებულმა წამოიძახა: ოოო, კარგია ხანდახან ჩრდილში დიკენსიო...

შემდეგი აღმოჩენა "ბლეკ საბათი" იყო, მაგრამ მემგონი ამათმა ცოტა მალე დაგვღაელეს. რატომღაც ისე მგონია, რომ ესენი განსაკუთრებით ავლაბარში იყვნენ პოპულარულები, ისევე როგორც "გრანდ ფანკი". ბრიტანეთში მემგონი პირიქით, მაგრამ ჩვენთან უფრო "ნაზარეთ"-მა შეგვყვარა თავი. ეს ჯგუფიც კარგად გემახსოვრებათ, თბილისის სპორტის სასახლეში გამართული კონცერტით.

დაახლოებით იმავე პერიოდის, "სტატუს ქვო" ორმოც წელზე მეტია გვაოცებს ნამდვილი ინგლისური კონსერვატულობით. ამათ არასოდეს დიდი სერიოზულობით არ ვუყურებდი ხოლმე. მაგრამ დღეს რაღაც განსაკუთრებულ პატივისცემას განვიცდი. მაინცა და მაინც მაღალი მხატვრული ღირებულების გამო კი არა, არამედ ამათი როკ-ენ-როლისადმი ერთგულებით. ზედმეტი ექსპერიმენტების გარეშე, ეს ხალხი დიდი სიყვარულით აკეთებს თავის საქმეს, რასაც როკ-ენ-როლი ჰქვია. მაესტრო როგორც ყოველთვის მართალი იყო, თვითონ სიტყვებში რომ ამოიცნობდა ხოლმე მოვლენის არსს.

იმ პერიოდში, ყველაზე ძალიან პოპულარული ჩვენში, ალბათ მაინც "ქუინი" იყო.

როგორც ჩანს ამათმა მართლა დროს გაუძლეს, ფრედი მერკურის დაკარგვის მიუხედავად. არავინ იმის მტკიცებას არ დაიწყებს, რომ პოლ როჯერსი მერკურიზე უკეთესად გრძნობს თავს ამ ჯგუფში, მაგრამ, მე რომ მკითხოთ როჯერსის "აილ ოვ უაით"-ის დროინდელი ჯგუფი "ფრი", ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო, იმ ფესტივალზეც და საერთოდაც როკ-მუსიკის ისტორიაშიც.

"ფრი" თითქოს რაღაცით "ლედ ზეპელინ"-ს მაგონებდა ყოველთვის. ამას დიდი ხანი ხმამაღლა არ ვამბობდი: მოგეხსენებათ ქართველების კამათი სადამდე მიდის ხოლმე. ჰოდა, 80-იანებში "ფრი"-ც და "ლედ ზეპელინ"-იც რომ დაიშალა და პოლ როჯერსი და ჯიმი პეიჯი ერთ ჯგუფში რომ გაერთიანდნენ, მაშინ დავრწმუნდი ჩემს აზრებში. "ფრი"-ს ცხონებული გიტარისტის, პოლ კოსოვისთვის მხოლოდ ერთი ზუსტი სიტყვა მომდის თავში - გენიოსი! კრიტიკოსები ბლუზ-როკს თუ თეთრ ბლუზს რომ ეძახიან, ამის ყველაზე საუკეთესო ბრიტანული ნიმუში, ჩემთვის სწორედ ეს ჯგუფია.

როგორც წერენ, ბრიტანული ბლუზის მამა ჯონ მეიოლი ყოფილა. მეიოლის "ბლუზბრეიკერსი" უბრალოდ ჯგუფი კი არა, მთელი ლაბორატორიაა. აქ პირველ ალბომში, გიტარისტი ერიკ კლაპტონია, მეორეში პიტერ გრინი, მესამეში კი მიკ ტეილორი, რომელმაც "როლინგ სტოუნზ"-ში, გარდაცვლილი ბრაიან ჯონსი შეცვალა. ხსვათაშორის ტეილორმა, რუსული "აკვარიუმ"-ის 1995 წლის ალბომშიც დაუკრა. რაც გინდა თქვი: ბორის გრებენშიკოვმა ბოლოს მაინც თავისას მიაღწია! 60-იანების მეორე ნახევარში "ბლუზბრეიკერს"-იდან გამოვიდა თითქმის მთელი "ფლიტვუდ მაკი", შემდეგ "კოლოზეუმი" და ბოლოს "ქრიმი". მე რომ მკითხოთ, "ბლუზბრეიკერს"-ი რაღაცით რუსულ "მატრიოშკა"-ს მაგონებს. კლაპტონმა აქედან თანმიმდევრობით ამოალაგა: "ქრიმი", "ბლაინდ ფეითი", "დერიკ ენდ დომინოს" და ბოლოს თვითონაც გამოჩნდა. ბოლოს მეიოლი ამერიკაში გადაბარგდა და მთლიანად ექსპერიმენტებში გადაეშვა: დაწყებული აკუსტიკური ბლუზით და ჯაზ-როკით დამთავრებული.

ლაბორატორიის მთავარი დანიშნულება ხომ, კვლევა-ძიება და მიგნებაა. ჰოდა, ამ მისიას კიდევ უფრო დიდი წარმატებით გაართვეს თავი სხვა ლაბორატორიებმა, აი პროგრესულ თუ ართ-როკს რომ ეძახიან. როგორც ჩანს, ამათ დაახლოებით ეგეთი დევიზი ჰქონდათ:

ყველაფერი ბლუზის გარდა!

რატომ, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ მე ისე მგონია, თითქოს ამაში რაღაც პროტესტანტული უნდა იყოს... ერთ-ერთ ასეთ "ბეკინჰემის არტისტულ ლაბორატორია"-ში, დევიდ ბოვი თეატრის, მუსიკის და ქორეოგრაფიის გაერთიანებას ცდილობდა და როგორც ჩანს დიდი წარმეტებითაც. 1972 წლის "ზიგი სტარდასტი" უბრალოდ დისკიდან, მთელ სპექტაკლად გადაიქცა. საბოლოო ჯამში ამ ექსპერიმენტებმა უფრო სანახაობრივი ხასიათი მიიღო და როკის ესთეტიკას საგრძნობლად დაშორდა. "ტ. რექსი" ამის ყველაზე კარგი მაგალითია ალბათ. ამათ არსენალში მემგონი კოსმეტიკა უფრო მეტი იყო ვიდრე მუსიკა. ან თუნდაც ელტონ ჯონი - ცოტა მოგვიანებით და ბოლოს კეით ბუში.

80-იანების ბოლოს, ბუშის ერთი ალბომი ჩამივარდა ხელში, რომელმაც მოულოდნელად ამაღელვა და მგონი არა მარტო მე. ამ დისკს ბოლომდე რომ მოვუსმინე, ფინალში მოულოდნელად ქართული "წინწყარო" შემომესმა. რომ იტყვიან, მართლა ელდა მეცა, ეს ამბავი მეტიმეტად დაუჯერებელი მომეჩვენა. სასწრაფოდ ყდა გადმოვატრიალე და დიდი ყურადღებით შევისწავლე. მაგრამ აქ, კიდევ უფრო დიდი მოულოდნელობა მელოდა: აღმოჩნდა, რომ "წინწყარო"-ს ნაცვლად მითითებული იყო: გამოყენებული ფრაგმენტი ჩეხური თუ რუსული ფოლკლორის ნიმუშიაო. ის ღამე მგონი არც მძინებია. დილით ეს ამბავი რათქმაუნდა მაესტროს გავანდე და გაოცებულმა, საჩვენებელი თითი მაღლა ასწია და იდუმალი

ხმით გამომიცხადა: ხედავ კლიმ? აი ამაშია საქმეო!

ართ-როკის ნამდვილმა პიონერმა, "მუდი ბლუზ"-მა კი იმით დაიწყო, რომ თავის 1967 წლის "მომავლის გასულ დღეებ"-ში მთელი სიმფონიური ორკესტრი ჩართო. ეს ჩანაწერი მართლა სიმფონიური სუიტაა, თავისი პრელუდიითა და ინტერლუდიით. იგი სიმღერების მაგივრად შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: დილა, შუადღე, ნაშუადღევი, საღამო და ბოლოს ამათი ყველაზე ცნობილი "ღამეები თეთრ ატლასში", "აილ ოვ უაით"-ზე გადაღებულ ფილმშიც რომ მოხვდა.

"პროკოლ ჰარუმ"-მა თავისი კომპოზიციების უმრავლესობა, საერთოდ ბახის ფუგებსა და ინვენციებზე ააგო. სხვათაშორის, ამათმა ერთ-ერთმა პირველებმა იმოგზაურეს "რკინის ფარდ"-ის აქეთ, 1975 წელს - პოლონეთში. აი მაშინ იყო "ჰარუმ"-ის "მეცხრე" და ემერსონის "ნაისი" რომ გადმობეჭდეს პოლონელებმა და ჩვენც რომ შეგვხვდა ცოტა, რათქმაუნდა დახლქვეშიდან - ოდნავ გაბერილ ფასებში. თუ მანამდე მძიმე როკისთვის დამახასიათებელი ემოცია იყო ჩვენი ცხოვრების მთავარი აზრი, მოვლენების ასეთი შემობრუნების შემდეგ, რაღაც ინტელექტუალური აღმაფრენა ვიგრძენით: რასაც სოლფეჯიოზე პედაგოგები გვიჩიჩინებდნენ, ასე მოულოდნელად ნაცნობი და მშობლიური გახდა ჩვენთვის.

ეხლა რომ ვუფიქრდები, მემგონი ეს ყველაფერი ძალიან კარგად იგრძნო მაშინდელმა ცენზურამ და შეეცადა კონტროლზე აეყვანა სიტუაცია, ალბათ თავში რომ არ აგვვარდნოდა. მაგრამ მგონი, სულ საპირისპირო შედეგი მიიღო. "მელოდია"-მ ფრთხილად, მაგრამ მაინც დაიწყო დასავლური როკ-ჯგუფების ფირფიტების გამოშვება, რათქმაუნდა ძირითადად ყდების გარეშე. მოვლენებზე კონტროლის მონოპოლია ბოლომდე რომ შეენარჩუნებინათ, ჩვენები გულმოდგინედ ახშობდნენ დასავლეთის რადიოგადაცემებს. იქიდან კი რუსულ ენაზე გვიტევდნენ: "ამერიკის ხმა", "რადიო თავისუფლება" და "ბ.ბ.ს.". ამ უკანასკნელს განსაკუთრებული კადრი

ჰყავდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ კაცის სახელის ხსენებაც კი, საშიში იყო იმ დროს. თუმცა ის დრო ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ მე მაინც ასე მოვიხსენიებ: 21-ე საუკუნის შიზოიდი, იგივე ვსევლოდ ლევენშტეინი, უფრო ცნობილი როგორც: სევა ნოვგოროდცევი. ეს ებრაული წარმოშობის საბჭოთა ემიგრანტი, ალან ფრიდის მსგავსად, ლონდონიდან გვიწამლავდა ტვინს თავისი გადაცემებით: "როკ-პოსევი", "სევა-ობოროტი" და "ბ.ბ.სევა".

ერთ ზამთარს, მივლინებით გახლდით ჩვენი იმპერიის ევროპულ ნაწილში. ჰოდა, ეტყობა იქ შედარებით კარგად აღწევდა დასავლური რადიო ტალღები. ზუსტად არ მახსოვს რომელი წელი იყო, ან ამათგან რომელი გადაცემა, მაგრამ დაახლოებით ეგეთი ტექსტი მოვისმინე, ნოვგოროდცევის ჩვეული უშუალობით: მოგესალმებით მანდ საბჭოეთში. ლონდონში 19 საათია. გარეთ 2 გრადუსია, წვიმს და ცოტა ხმაც გაციებული მაქვს, მაპატიეთო. ახლა კი, მინდა პირველი კომპოზიცია შემოგთავაზოთ: "კინგ ქრიმსონ"-ის უკვდავი "21-ე საუკუნის შიზოიდი"-ო. აი მაშინ დამემართა მე ჩემი. ასეთი რამ თუ შასაძლებელი იყო, ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი. ისე მგონია, იმ 7 წუთის შემდეგ, სულ სხვა ადამიანი ვიყავი. ეს "ქრიმსონი", როკ-მუსიკის ისტორიაში ყველაზე დიდ ჯგუფებში, სასწრაფოდ ჩავწერე.

საკამათოა, რამდენად არის ამ ჯგუფის მუსიკა როკი, ან რამდენად არის ეს საერთოდ ჯგუფი. მემგონი საქმე მაინც ერთ ადამიანს ეხება: რობერტ ფრიპი, არაჩვეულებრივი კომპოზიტორი და გენიალური გიტარისტი. ამათ მუსიკაში ყველაფერს შეხვდებით: თავისუფალი ჯაზიდან, თანამედროვე კლასიკამდე. დღეს ფრიპს გიტარის მთელი აკადემია აქვს, სადაც ერთი ჩვენი მეგობარიც მოხვდა, რომელმაც სხვათაშორის, ამ დღეებში თავისი ჩანაწერები გამოგვიგზავნა. ისე, მე მაინც მეჩვენება, რომ ამ "გიტარისტების ლიგა"-ს ჯერ-ჯერობით რომელიმე დიდი გიტარისტი მაინც არ აღუზრდია. ალბათ გენიოსი და პედაგოგი მაინც სულ სხვადასხვა რამეა. თუ არ ვცედბი, 1989 წელს "ქრიმსონ"-ის ყოფილმა პიანისტმა კეით ტიპეტმა, მეუღლესთან -

ჯული დრისკოლთან ერთად, ერთი კონცერტი მარჯანიშვილის თეატრშიც გამართა.

ჯული დრისკოლი, ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და ძლიერი ხმის მქონე ინგლისელი მომღერალი ქალია. უკვე 60-იანების მეორე ნახევრიდან, გამოდიოდა ბრაიან ოჯერის "ტრინიტი"-ში. ბრაიან ოჯერთან იწყებენ თავის კარიერას როდ სტიუარტი და ჯონ მაკლაფლინი, რომელმაც ბოლოს არაჩვეულებრივი "მაჰავიშნუს ორკესტრი" შექმნა. საოცარი დამთხვევაა, რომ სწორედ ის უკრავს ხვალ, თბილისის ფილარმონიაში. ინსტრუმენტალიზმის თვალსაზრისით, ეს ჯგუფი ალბათ ეტალონია, როკისთვისაც და ჯაზისთვისაც. მე ყოველთვის მომწონდა ამათი ინტერნაციონალური შემადგენლობა, ალბათ ჩემი საბჭოური მენტალობის გამო: შოტალნდილელი, ირლანდიელი, ჩეხი, შავკანიანი და ებრაელი მუსიკოსების ერთობლიობა.

ჯაზ-როკში, "სოფტ მეშინ"-ზე უკეთეს მაგალითს, ბრიტანეთში ალბათ მაინც ვერ ვიპოვით. თავიდან ეს ჯგუფი, თითქოს დიდი ენთუზიაზმით არც მიგვიღია, მაგრამ რაც დრო გადის უფრო და უფრო საინტერესო მოსასმენი ხდება. ესენი დიდი ხანია გასცდნენ ჯაზ-როკს სტანდარტებს და რაღაც საკუთარ, აბსტრაქტულ ხელწერას მიაგნეს. ამათ ფოტოებს რომ ვუყურებდი, ეს ხალხი ყოველთვის თითქოს ფიზიკოსებს მაგონებდნენ...

კიდევ უფრო რთული და უმოწყალოდ ეკლექტური ჯგუფია "ჯენტლ ჯაიენტი". იქნებ საერთოდ ერთ-ერთი ურთულესიც კი. ამათ მუსიკაში, მკვეთრი ანალიზი მემგონი შეუძლებელიც კია, მაგრამ სიამოვნება წარმოუდგენელია! ცოტა დაგვიანებით კი გავიცანით ეს ხალხი, მაგრამ ლოდინი ღირდა როგორც ჩანს და ბევრმა ჭკუაც დაკარგა ამათ გამო.

ოდნავ მოკრძალებული, მაგრამ მაინც ძალიან დიდი ჯგუფია "ფემილი". ამ "ოჯახი"-დან გამოვიდა, ლამის ყოველი მეორე ზემოთ ხსენებული ჯგუფის რომელიმე

მუსიკოსი. ამათი ვოკალისტის ხმა, სულ თხას მაგონებდა ხოლმე და ასეთ რამეს მართლა წავაწყდი: ერთ-ერთ წერილში, ინგლისელი კრიტიკოსი როჯერ ჩეპმენს, ელექტრო თუ მოტორიან თხას უწოდებს. საქმეც ისაა, რომ ამ კაცის "კიკინი" სულაც არ გაღიზიანებს. აქ ყველანაირ სტილს შეხვდებით, ბულზის და ფოლკის ჩათვლით.

ფოლკ-როკში ბრიტანული სცენის ლიდერი ალბათ მაინც "ფეარპორტ კონვენშენ"-ია. ამათი ვოკალისტი, ცხონებული სენდი დენი, მემგონი ყველაზე დიდი მომღერალი ქალია ბრიტანულ როკში. ყოველ შემთხვევაში "ლედ ზეპელინ"-ის მეოთხე დისკში, რობერტ პლანტთან ერთად ძალიან შთამბეჭდავად მღერის. მე რომ მკითხოთ, ამაზე დიდი პატივი რა უნდა იყოს, არც კი ვიცი. რიჩარდ ტომპსონს კი დღესაც ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო გიტარისტად თვლიან.

ფოლკის ხსენებაზე, არ შემიძლია არ გავიხსენო, 70-იანებში მივიწყებული და ლამის დღეს ხელმეორედ აღმოჩენილი, ორი ერთმანეთზე უძლიერესი ჯგუფი: "ქომუსი" და "ს.ო.ბ."-ი, თავიანთი ორ-ორი დემონურად გენიალური დისკით. ამ შემთხვევაში, როგორც იტყვიან: კომენტარი ზედმეტია!

"დიახ" რას უნდა ნიშნავდეს ჯგუფის სათაურში ვერ გეტყვით, მაგრამ ამ "იეს"-მა ძალიან დიდი ეფექტი მოახდინა თავიდანვე. მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ეს "დიახ" პასუხებია შეკითხვებზე, ანკეტებში რომ შეხვდებით: საუკეთესი გიტარისტი - დიახ, საუკეთესო კომპოზიცია - დიახ, საუკეთესო ყდა - დიახ და ასე შემდეგ. ამათი დისკების ყდები ნამდვილი შედევრები იყო. სხვათაშორის, 1975 წლის ალბომის, როჯერ დინის ნახატი იმდენად მოეწონათ ჩვენთან, რომ იმ დროს გამოსულ ერთ-ერთ ქართულ წიგნსაც კი დაახატეს ყდაზე.

"იეს"-თან ერთად გავიცანით "ჯენეზის"-იც და ძალიანაც მოგვეწონა. მაგრამ ეს "ბიტელს" - "როლინგ სტოუნზ"-ის ან "დიფ ფარფლ" - "ლედ ზეპელინ"-ის შემთხვევა

არ იყო. პირიქით, ესენი თითქოს ავსებდნენ თუ აგრძელებდნენ ერთმანეთს. მე ისე მგონია, ამათმა ქართველი ქალბატონების გულის მოგებაც კი შესძლეს, ყოველ შემთხვევაში იმ კატეგორიის მაინც, ვისაც მხოლოდ მჭადების გამოცხობა არ ეხერხება. ასეთი რამ "ბიტელს"-ის შემდეგ მე არ მახსოვს.

და ბოლოს, მთელი ბრიტანული პროგრესის შემაჯამებელი და დამაგვირგვინებელი "ჯეთრო ტალი". ეს ალბათ, მოქმედ ანსამბლებს შორის ყველაზე დიდი ჯგუფია. როგორც წერენ, "ჯეთრო ტალი"-ს გამართული კონცერტების რაოდენობა, დღეისათვის ასი ათასს აღწევსო. იან ანდერსონი, ეს გენიალური მუსიკოსი, თითქოს ჰიუგოს ურსუსს მაგონებდა ყოველთვის - ოდნავ სასიკეთოდ შეშლილს.

70-იანების შუა პერიოდიდან, უკვე სოლიდურ ინფორმაციას ვფლობდით. ეტყობა საბჭოთა რადიოლოკაციამ ბოლომდე მაინც ვერ დაახშო "წყეული ბურჟუაზიული" კულტურის ხმა. ამიტომ, ამის საპირისპიროდ შეიქმნა მსგავსი გადაცემების ჩვენებური ვერსიები. საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე გაჩნდა, ევგენი მაჭავარიანის გადაცემა

"ეს ესტრადაა"

ყურადღება მიაქციეთ სიტყვას - "ესტრადა". მე რომ მკითხოთ, ამაზე დიდი შეურაცყოფა როკ-მუსიკისთვის არ არსებობს! სიტყვა "როკი" ხომ რაღაც ძალიან ცუდს ნიშნავდა, ისევე როგორც მანამდე - "ჯაზი". მიუხედავად ამისა, უამრავი კლიმისთვის ამაზე საყვარელი გადაცემა არ არსებობდა. საქართველოს რადიოში, ილია კევლიშვილმა გააკეთა პროგრამა, შედარებით უფრო უწყინარი სახელწოდებით: "პიკის საათი". და ბოლოს, როცა კასეტების მაგნიტოფონები გამოჩნდა, გაიხსნა ხმის ჩამწერი სტუდიებიც. საინტერსო ისაა, რომ ეს სტუდიები ძირითადად განლაგებული იყვნენ მიწისქვეშა გადასასვლელებში არსებულ პატარა სალონებში. მემგონი, აი ეს

არის "ანდერგრაუნდ"-ის ზუსტი განმარტებაც და პრაქტიკული განხორციელებაც.

რაც შეეხება ამ ტერმინს, მის კვალს ნიუ-ირკში მივყავართ. ამ იატაკქვეშეთის ყველაზე მთავარმა ჯგუფმა, ასევე "ველვეტ ანდერგრაუნდი" დაირქვა. აქ მემგონი, როკ-მუსიკაში მომხდარ ხავერდოვან რევოლუციასთან გვაქვს საქმე. მე მგონია, რომ ამათი მუსიკა უკვე ნამდვილი ავანგარდია. ალბათ, ამიტომაც გახდა ამ ჯგუფის პროდიუსერი ენდი უორჰოლი, რომელიც იმ დროს მსგავს ძიებებში იყო და პირველი ალბომის ყდაც გააფორმა. დღეს ამ ჯგუფს ცოტა ვინმე თუ შეედრება, თანამედროვე ანსამბლებზე მოხდენილი გავლენის თვალსაზრისით. მაგრამ 60-იანების ბოლოს, ამ ხალხის ექსპერიმენტებმა საქმე იქამდე მიიყვანა, რომ სტუდია "მ.ჯ.მ."-მა გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა, მეტისმეტად მაღალი იდეებით შეპყრობილი მუსიკოსები. მათ შორის სწორედ "ველვეტი" და "გამოგონების დედები".

ფრენკ ზაპას "გამოგონების დედებ"-მა "მ.ჯ.მ."-ს რა დაუშავეს ვერ გეტყვით, მაგრამ პირადად მე ამათგან გამოწვეული შოკის მსგავსი სხვა არც მახსოვს! თქვენ წარმოიდგინეთ, ერთმა ნაცნობმა ფრენკ ზაპას გამო, თავის შვილს ფრანჩესკოც კი დაარქვა. მეორემ, ილფ და პეტროვის - ლეიტენანტ შმიდტის შვილების არ იყოს, მოსკოვის ფილარმონიაში მოსახვედრად, დაცვას განუცხადა: ზაპას შვილი ვარო! გარდაცვალების შემდეგ ვილნიუსში ძეგლიც კი დაუდგეს... მემგონი, ფრენკ ზაპას ნაირი ხალხი ძალიან აკლია დღეს როკ-მუსიკას და მთლიანად ხელოვნებასაც. იძინე მშვიდად, ფრენკ...

ამ მასშტაბის მეორე მუსიკოსს, მხოლოდ კაპიტან ბიფჰარტს თუ დაასახელებს კაცი. თუ ვინმე როკის პოეტი ან იმედია, მაშინ: ბიფჰარტი როკ-მუსიკის სულია! მემგონი ეს ის შემთხვევაა: ბოლო მოჰიკანს რომ ეძახიან. თუმცა, თითქმის ოცდაათი წელია არსად გამოჩენილა ავადყოფობის გამო, მაგრამ ის თითქოს მაინც მონაწილეობს დღევანდელობაში. სხვათაშორის ამ გენიალურ მისიკოსს და არანაკლებ ბრწყინვალე

მხატვარს, მიმბაძველების მთელი არმია ყავს, მაგრამ ჩემი აზრით ამათი ფასი არც ისე დიდია, როგორც ჰგონიათ. მე რომ მკითხოთ, ზაპა - ბიფჰარტი, თითქოს რაღაცით დალი - ბუნუელს ტანდემს მაგონებს. მაგრად იყავი, დონ...

მთელი ეს როკ-კულტურა ეტყობა, მხოლოდ ამერიკამ ვეღარ დაიტია და აგერ, მექსიკიდან ერთ-ერთი ულამაზესი გიტარისტი, ჩვენთან ძალიან დაფასებული კარლოს სანტანა მოგვევლინა. სანტანას ვარსკვლავი ლეგენდარულ ვუდსტოკზე აკაშკაშდა. მე როგორც მახსოვს, პირველად სწორედ საქართველოს რადიოთი მოვისმინე მისი "ევროპა". იმ დღეს, ჯონ მაკლაფლინი რომ უკრავდა თბილისში, ერთი მეგობარი შემხვდა, სანტანა - მაკლაფლინის ერთობლივი ფირფიტით ხელში. ეს რას ნიშნავს მეთქი - ვკითხე და მეუბნება: მაკლაფლინს ხელი უნდა მოვაწერინოო. კი მაგრამ, მაკლაფლინის დისკების მეტი რა გაქვს, სანტანა რა შუაშია თქო და: კლიმ, ისე როგორ მოვკვდები ეგ კაციც არ ჩამოვიდეს და ორივეს ავტოგრაფი მექნება ერთადო...

მექსიკაზე, პირველ რიგში კაცს, რათქმაუნდა მაინც ჯოან ბაეზი მოუვა თავში. მე კი, მაინც ჩეხოვის "სამი და" მინდა გავიხსენო: ბაეზთან ერთად, კანადელი ჯონი მიჩელი და ნიუ-იორკელი ვუნდერკინდი ჯენის იანი. სამაიასი არ იყოს, თვითეულის მუსიკალური შარმი მართლა მომაჯადოვებელია. ჯოან ბაეზი, ალბათ თავისი კომუნისტური შეხედულებების გამო, ძალიან დააფასეს საბჭოეთში: ფირფიტაც კი დაბეჭდეს, თქვენ წარმოიდგინეთ - ყდიანად! ხოლო, ჟურნალმა "როვესნიკ"-მა კი მას "სმუგლაია კრასავიცა" უწოდა. ჯონი მიჩელი უფრო ფიზიკოს-ლირიკოს ინტელექტუალებს მოეწონათ. ვუდსტოკის ფესტივალის ჰიმნიც სწორედ მას ეკუთვნის. მე მაინც, ყველაზე მეტად ჯენის იანი მომწონდა.ბავშვური უშუალობით შექმნილი მისი დისკები, თითქოს რაღაცით "ანა ფრანკის დღიურ"-ს მაგონებდა. პირველი ალბომი, 15 წლისამ სწორედ "მ.ჯ.მ."-ში ჩაწერა და მასაც იგივე ბედი ეწია, რაც "ველვეტს" და "დედებს".

პირველი ამერიკული ჯგუფი, რომელმაც 1970 წელს სოციალისტურ პოლონეთსა და იუგოსლავიაში იმოგზაურა "ბლად, სუიტ ენდ თეარსი" იყო. ესენი "ბლუზ პროჯექტ"-იდან დამოვიდნენ და ჯაზ-როკის ერთ-ერთ პიონერებად ითვლებიან. თუმცა ჩვენთან უფრო პოპულარული მაინც "ჩიკაგო" იყო. ეტყობა ჯაზ-როკის დიდი სიყვარულით შეიქმნა, ქართული "75"-ც. თქვენ წარმოიდგინეთ, როგორი გაოცებული დავრჩი, ამათი შესრულებით ჯიმი ჰენდრიქსის "წითელი სახლი" რომ მოვისმინე.

1977 წელი, ნამდვილად ისტორიული გამოდგა საბჭოთა კავშირისთვის: ჩვენთან პირველად ჩამოვიდა, ამერიკული ქანთრი-როკის ანსამბლი "ნიტი, გრიტი, დერთ ბენდი". მაშინ ქანთრი უფრო "ქრიდენს"-მა შეგვაყვარა და წარმოდგენაც არ გვქონდა, რომ "იგლზ"-ის "ჰოტელ კალიფორნია"-ზე უკეთესიც შეიძლება რამე ყოფილიყო. "დერთ ბენდ"-მა სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა და თან პირადად მე, ეს ხალხი პირველი დანახვისთანავე რატომღაც "შესანიშნავ შვიდეულ"-ს მივამსგავსე.

ჯონ სთერჯესის ამ ფილმის, იმ დროინდელი თბილისის სულიერ ცხოვრებაში რაღაც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. თან კულტურულ კი არა, სულიერ ცხოვრებაში. საქმე იმაშია, რომ ამ ფილმის ნახვის პატივი, ძირითადად ყველაზე დიდი დღესასწაულების დროს გვეძლეოდა, ეტყობა რომ არ გვეზეიმა. აღდგომის დღეებში, როგორც ამბობენ "ბოროტი ძალა გვებრძოდა" ასეთი ფილმების სახით. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთ-ერთ ასეთ დღესასწაულზე, ვებერისა და რაისის "იესო ქრისტე სუპერვარსკვლავ"-ის ფრაგმენტებიც კი ვიხილეთ. და ბოლოს, საკონტროლო გასროლის სახით, ეს ყველაფერი "ეს ესტრადაა"-თი გვირგვინდებოდა. თავისას დცილობდა ჟურანლიც,

"როვესნიკი"

ამ კომკავშირული, რუსული გამოცემის რედაქტორი ვინმე ნოდია იყო. პარადოქსი

ისაა, რომ ეს, თითქოსდა ბურჟუაზიულ კულტურასთან საბრძოლო იარაღი, ლამის სანთლით საძებარი გაგვიხდა: აი ისე, მსხვერპლი თვითონ რომ ეძებდეს თავის ჯალათს. რუსულად გამოვიდა წიგნები: "ვეფხვი გიტარაში", შემდეგ "ბუნტის მუსიკა" და ბოლოს "როკ-მუსიკა გუშინ და დღეს". გაზეთ "ახალგაზრდა კომუნისტ"-ში როკ-მუსიკაზე წერა დაიწყეს კაკაბაძე - მაყაშვილმა და ბოლოს, ვინმე მაღულარიამ. ეს უკანასკნელი საერთოდ რას წერდა ან რატომ, კაცმა არ იცის. მემგონი ეს იმ კორესპონდენტთაგანი იყო, კარდაკარ რომ დადიან და სულელურ ანკეტებს ავსებინებენ ხალხს. მახსოვს, ერთხელ ერთი ეგეთი ჩვენს ფოტო კაბინეტშიც გვესტუმრა, თანაც - გაფუჭებული კალმით!

ერთი სიტყვით, მთელი ეს ტრადიციული ამერიკული სტილები, ალბათ ყველაზე მეტად "ოლმენ ბრაზერს ბენდ"-ის მუსიკაშია თავმოყრილი. ესეც ალბათ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჯგუფია როკ-მუსიკის ისტორიაში. ერთდროულად ორი დოლი და ორი გიტარა, რაღაც ქარიშხალის შთაბეჭდილებას ახდენდა ხოლმე. ნათელია, რომ შემთხვევით არ მიიწვევდა ერიკ კლაპტონი, გიტარის პარტიის ჩასაწერად ცხონებულ დუენ ოლმენს, თავისი "ლეილა"-სათვის. ამაზე დიდი დაფასება გიტარისტისთვის ალბათ ძნელი წარმოსადგენია. მე რომ მკითხოთ, საუკეთესო ცოცხალი ჩანაწერი რაც კი ოდესმე მომისმენია, ამათი 1971 წლის "ფილმორ"-ია. ამ ორმაგმა დისკმა, იმავე წელს ოქროს სტატუსი მოიპოვა. რამოდენიმე დღის შემდეგ კი 25 წლის დუენი მოტო კატასტროფაში დაიღუპა - არხეინად მოჯირითე...

საერთოდ, პირველი თაობის ქართველი კოლექციონერებისთვის, 70-იანების დასასრულთან ერთად მთავრდება როკ-მუსიკაც და ლამის მთელი მათი შეგნებული ცხოვრებაც. თან რაც უფრო ასაკიანია ეს ადამიანი, მით უფრო წინა თარიღით გამოყავს წირვა. მაგალითად: ჩემზე უფროსი მეგობრები ამბობდნენ ხოლმე: 75 წლის აქეთ დისკს სახლში არ შევიტანო! ცოტა უმცროსები: 78 წლის მერე ჩაწერილი არცერთი დისკი არ გამაგონოთო! და ასე შემდეგ და ამავე პროგრესიით. ერთი

პერიოდი, ავდექი და მეც ეგ ჯვარი ზუსტად 1980 წელზე დავსვი, მაგრამ მალევე გადავიფიქრე. გასაგებია, რომ 60-70-იანების მიჯნა როკის რენესანსია, მაგრამ აქეთაც იპოვის კაცი ბევრ საინტერესოს, თუ მაინცადამაინც შარზე არ არის. და კიდევ: მხოლოდ ამერიკა-ინგლისს შორის გამოკიდებაც არ მგონია სწორი. ამიტომ მემგონი ცუდი არ იქნება, ამ როკ

იმპერიის გარეთ

გასეირნება. ამის მშვენიერი მაგალითია, ფრანგული ჯგუფი "მაგმა". ეს უნუკალური ანსამბლი საერთოდ სცილდება როკის ტრადიციებს, ინგლისურენოვან კანონიკასაც და მთლიანად ამქვეყნიურ ცივილიზაციასაც კი. მათ მუსიკაში, არის თითქოს რაღაც მაგიური და მემგონი ეს სახელშიც იგრძნობა. ტექსტები დაწერილია უხცო ცივილიზაციის სავარაუდო ენაზე. ჯგუფის შემადგენლობა ძალიან უცნაურია: თითქმის არასდ არ ისმის გიტარა, სამაგიეროდ - ერთდროულად ორი ბასი და კონტრასტული ვოკალები. ფრანგების გვერდით, აქ უნგრელ, პოლონელ და რუს მუსიკოსსაც კი შეხვდებით. და ბოლოს ამათი პროდუსერი ჯორჯო გომელსკი წარმოშობით თბილისელია. მე რომ მკითხოთ, ამ ჯგუფმა პროგრესული როკის ბევრი ბრიტანული და ამერიკული ანსამბლიც კი უკან ჩამოიტოვა. სხვათაშორის, ამათი მევიოლინე დიდიე ლოკვუდი, 90-იანების ერთ-ერთ "შემოდგომის თბილის"-ის ფესტივალშიც მონაწილეობდა. სცენაზე რომ გამივიდა, ვიღაცამ დარბაზიდან დაუყვირა: "ჰამტააკ", რაც მაგამას ენაზე მისალმებაა. ამ შემთხვევაში, ქართველების სტუმართმოყვარეობა მართლაც გალაქტიკათაშორისი გამოდგა...

გერმანული როკი უფრო ელექტრონული გზით წავიდა. ამათ, როგორც დიდი კლასიკური მემკვიდრეობის მქონე ერს, სამართლიანი ამბიციების გამო, უფრო ავანგარდული სტილი ჩამოუყალიბდათ. მაგალითისთვის, "ქენ"-ის მუსიკაში ძალიან ძნელად თუ გაერკვევა რიგითი მსმენელი. ისენი დიდი წარმატებით მუშაობდნენ

ფილმებზეც და თავის შემადგენლობაში შეყავდათ ხოლმე ეგზოტიკური მუსიკოსები - იაპონიიდან და აფრიკიდანაც კი. მილიონობით მსმენელისთვის კი, როკ-მუსიკაში გერმანია მაინც "სკორპიონ"-მა ასახელა. ეს ინგლისურენოვანი ანსამბლი დღემდე ძალიან პოპულარულია და ბევრი მიმდევარიც ჰყავს მთელს მსოფლიოში.

არაინგლისურენოვან ხალხს შორის, ყველაზე ახლოს როკ-მუსიკასთან მემგონი მაინც ჰოლანდიელები დგანან. "შოკინგ ბლუ"-ს ხსენებაზე, ალბათ ბევრს გაუთბება გული და ნათელ მოგონებებშიც შეიძლება გადავარდეს. ამათი ბოშა ვოკლასიტი ქალი, ცხონებული მარიკსა ვერესი, ჩვენი გულების ნამდვილი მბრძანებელი გახდა. მე ისე მგონია, თითქოს იმ დროს გოგონებმაც მისი პატივისცემით დაიწყეს ჯინსების ტარება, ყოველ შემთხვევაში ჯინსებიანი ბრიჯიტ ბარდო ან სოფი ლორენი მე არ მახსოვს. შარვლიანი ქალი ალაბთ მაქსიმუმია, რაც როკ-რევოლუციამ საქართველოში მოიტანა. შარვალი, როგორც მახსოვს, ანტიკურ აღმოსავლეთში სწორედ ქალების სამოსი იყო. ჰოდა, მარადიული კითხვა: "ევროპა ვართ თუ აზია?" ამ შემთხვევაში მეორეს გამარჯვებით დასრულდა. ერთი პერიოდი, ეს კითხვა მეც მაღელვებდა და რათქმაუნდა ისევ მაესტრომ დამამშვიდა: კლიმ, ევროპაც და აზიაც, არც ისე მცირე სივრცეებია, რომ ამის გამო გაეერთიანებინა ვინმეს და ევრაზია დაერქმია მისთვის, ევრაზია სწორედ ჩვენ ვართ - ამათ შორის კორიდორიო. ეს ბოლო სიტყვა რაღაც ნაღვლიანად გამოუვიდა...

ირლანდიული როკი, ალბათ ყველაზე ახლოს დგას ამერიკულ და ბრიტანულ როკის ტრადიციებთან. ცხონებულ რორი გალაჰერს, ყველაზე რომანტიკულ გიტარისტს დავარქმევდი. თავისი პირველი ჯგუფით "თეისტ", "აილ ოვ უაით"-ზე ამ კაცმა ბლუზის გიტარის, ნამდვილი მასტერკლასი მოუწყო მსმენელს. მის დაკვრაში, თითქოს მთელი ირლანდიური მღელვარე სული დევს, ისევე როგორც მეორე დიდი ირლანდიელის, ვან მორისონის სიმღერაში. ჩვენთან ყველაზე პოპულარული ირლანდიელი, ალბათ მაინც გარი მური იყო "თინ ლიზი"-სთან ერთად.

ინგლისურენოვანი ავსტრალიიდან წამოსულმა ჰარმონიამ, 60-იანებში ბევრი მსმენელის თუ მუსიკოსის ყურადღება მიიპყრო, მათ შორის "ენიმალს"-ის ერიკ ბარდონის და თვით ჯენის ჯოპლინისაც კი, რომელთა რეპერტუარში "ბი ჯიზ"-ის ცნობილი "ვინმეს სიყვარული" სამუდამოდ შევიდა. ასეთი ფაქტის გვერდის ავლა არ იქნებოდა სამართლიანი, თორემ სიმართლე რომ ვთქვათ, ამ "ბი ჯიზ"-მა, მარშალ ბეტანკურის არ იყოს, როგორც დაამთავრა ყველამ კარგად იცის...

სამაგიეროდ, აბსოლუტურად უკომპრომისო მოვლენა იამაიკაზე გაჩნდა, ბობ მარლის სახით. რეგის, ამ კარიბულ ბლუზს, თითქოს როკთან არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ის უზარმაზარი ძალა რაც ამ მუსიკამ გამოავლინა, 70-იანების მეორე ნახევარში ერთგვარ დონორად მოევლინა, კრიზისისკენ მიმავალ როკს. ფაქტია, რომ რეგი თითქმის ყველა იმ დროინდელი ანსამბლის მუსიკაში აისახა, "ლედ ზეპელინ"-ის და "როლინგ სტოუნზ"-ის დასახელებაც მემგონი საკმარისია.

სოციალისტური იქნება ევროპა თუ დემოკრატიული, ის მაინც ევროპად დარჩება. საბჭოთა მუსიკალური ბაზარი თავიდანვე გაჯერებული იყო, როკის სტილში ოსტატურად სტილიზებული სოციალისტური ჯგუფების ფირფიტებით. გ.დ.რ.-ის "ფუდისი"-თ, პოლონური "ჩერვონი გიტარი"-თ თუ იუგოსლავური "საში სუბოტი"-თ. მიუხედავად ჩვენი განებივრებისა, უნგრული "ომეგა" მაინც გულში ჩაგვივარდა. უფროსი თაობის კოლექციებში დღესაც შეხვდებით ამათ დისკებს - განსაკუთრებით ინგლისურენოვანს. კომუნისტური რეჟიმის პირობებში, როგორ ახერხებდა ეს ჯგუფი ამას, ცოტა გასაკვირია. როგორც მახსოვს, მუსიკოსების შესრულების დონეც ძალიან შთამბეჭდავი იყო. ბოლოს ამათ პროგრესულ როკშიც მოსინჯეს ძალები და დღემდეც დიდი წარმატებით მოაღწიეს. როგორც ჩანს, ამასობაში მთელი ეს როკ-ქარიშხალი ჩვენც მოგვწვდა, რამაც 80-იანებში გააჩინა ფენომენი, რასაც

თუ წითელი ტალღა დაარქვეს. 1979 წლის შემოდგომის ერთ საღამოს, მოსკოვში, რესტორან "სოფია"-ში, თბილისის ფილარმონიის დირექტორის, გიზო კანდელაკისა და მოსკოველი ჟურნალისტის, არტიომ ტროიცკის სუფრაზე, ქართული ღვინით ერთი უჩვეულო საგღეგდძელო დაილია. ზუსტად იმ დღეებში ამერიკაში, ვუდსტოკის ფესტივალის ათი წლის იუბილე აღინიშნა. იმ საღამოს, "სოფია"-ში გაჩენილი ანალოგიური იდეა, 1980 წლის მარტში განხორციელდა, თბილისის ფილარმონიაში, სახელწოდებით "გაზაფხულის რიტმები". ამ ისტორიულ ფესტივალზე თავი მოიყარეს: ჩვენმა "75"-მა, მოსკოვიდან "დროის მანქანა"-მ, პეტერბურგიდან "აკვარიუმ"-მა, ესტონელმა გუნარ გრაპსმა და "მაგნეტიკ ბენდ"-მა, ვირტუოზი მედოლის რიშად შაფის თურქმენულმა "გუნეშ"-მა, მოკლედ სულ 15 კოლექტივმა. სწორედ თვითმოქმედი "კოლექტივების" აღმოჩენა და კონტროლირებად პროფესიონალებად გარდაქმნა იყო ფესტივალის ნამდვილი მიზანი, დაახლოებით ისე, როგორც გრაფი სეგედი აპირებდა "დათა თუთაშხია"-ში: ყაჩაღების გამოვლენას და გადმობირებას, განსაკუთრებით ურჩების კი - განადგურებას. საბოლოო ჯამში, "დროის მანქანა"-ს პირველი პრემია მიენიჭა, "აკვარიუმი" კი აიკრძალა. ცხონებულმა რიშად შაფიმ მსოფლიო აღიარება დაიმსახურა, ასევე ცხონებულმა გუნარ გრაპსმა კი საშინელი კრიტიკა. ამგვარად, იმ გაზაფხულზე, თბილისში ოფიციალურად დაიბადა ის, რასაც საბჭოთა, ანუ დღეს უკვე რუსული როკი ჰქვია.

ამ ფენომენს ჩვენთან, სერიოზულად თითქმის არავინ არ უყურებდა და დღესაც ცუდ ტონად ითვლება ამაზე ლაპარაკი. მართალია გემოვნებაზე არ დაობენ, მაგრამ ხელოვნება პოლიტიკა არ არის და არც ეროვნება აქვს. მაგალითად: ფაშიზმის დროს, არავის არ აუკრძალავს არც ბახი და არც ბეთჰოვენი. ამ თემას გვერდი რომ არ ავუაროთ, ამისთვის მემგონი საკმარისზე დიდი არგუმენტია, 90-იანების დასაწყისში

ფრენკ ზაპას რამდენიმე ვიზიტი მოსკოვში! საქმე ისაა, რომ თბილისის ფესტივალიდან მოყოლებული, საბჭოთა როკმა გარე სამყაროს ყურადღება მიიპყრო. ამ ფესტივალს მიეძღვნა ფინელების ფილმი "საბჭოთა როკი". იმავე წელს, "გაზაფხულის რიტმები"-ს სახელწოდებით, ამ ფესტივალის მონაწილეების ორმაგი ფირფიტაც გამოვიდა. მოგვიანებით ამას მოჰყვა, კიდევ ერთი ამერიკული ფილმი "როკი წითელ ცხენზე" და ბოლოს ასევე ამერიკული ორმაგი დისკი "წითელი ტალღა", სადაც ნაცნობის გარდა, ახალი ჯგუფებიც შევიდა.

მე რომ მკითხოთ, "დროის მანქანა"-ც და "აკვარიუმი"-ც ოდნავ მაინც შორს იყო როკ-მუსიკისგან: "დროის მანქანა"-ს ცოტა აქტუალობა აკლდა. ეს აქტუალობა კი როკისთვის აუცილებელი რამაა და მემგონი ზუსტად ამით განსხვავდება ესტრადისაგან. "აკვარიუმ"-ს კი, ყოველთვის ერთგვარი კლეპტომანია აწუხებდა. ეხლა სათქმელად ავდილია, თორემ იმ დროს, ეს თითქმის გმირობას უდრიდა. იმ კრიტიკოსს, თავის დროზე სან-ფრანცისკოს, ამერიკული ლივერპული რომ უწოდა, ალბათ ძალიან მოეწონებოდა პეტერბურგისთვის რუსული სან-ფრანცისკოს დარქმევა, რადგან აქაც დაახლოებით მსგავსი მოვლენები განვითარდა. 1981 წელს, რუბინშტეინის 13-ში, პირველი საბჭოთა "როკ-კლუბი" შეიქმნა, რომელშიც "აკვარიუმი"-ს გარდა გაერთიანდნენ, ვიქტორ ცოის ლეგენდარული "კინო", უნიკალური ჯგუფი "ნოლი", გენიალური პოეტი და მუსიკოსი ალექსანდრე ბაშლაჩოვი და სხვები. ასევე შეიფარა პეტერბურგმაც: მოსკოვიდან "ალისა" და ბოლოს, უფიდან ერთ-ერთი ყველაზე დიდი რუსული ჯგუფი "დდტ".

მოსკოვის "როკ-ლაბორატორია" 1985 წელს გაჩნდა, გორბუნოვის სახელობის კულტურის სახლში. ეს სახლი, ანე უბრალოდ "გარბუშკა", ქართველი კოლექციონერებისთვისაც კარგადაა ცნობილი: რამდენი მათგანი გადაფრენილა სპეციალურად დისკების შესაძენად, ფირფიტების ამ მექაში. აქ "დროის მანქან"-ის გარდა შევიდნენ, "ზვუკი მუ", "ბრიგადა ს", "ბრავო" და სხვები. მესამე ცენტრს

სვერდლოვსკი წარმოადგენდა, ძირითადად "ნაუტილუს პომპილიუსი"-ს სახით.

და ბოლოს, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ნაკლებად ცნობილი ციმბირის სცენა: არვითარი კლუბი, სრული ანარქია და ნამდვილი დეკადანსი. ერთი სიტყვით - ანდერგრაუნდი, ფსიქოდელია და პანკი! სან-ფრანცისკო - პეტერბურგის ანალოგიის არ ვიცი, მაგრამ ამ შემთხვევაში სულ სხვა ასოციაცია მიჩნდება. ლუის კეროლის საოცრებათა ქვეყნის არ იყოს, ეტყობა აქ, ამერიკის მოპირდაპირე მხარეს, ჰენდრიქსს და ჯოპლინსაც ჰყოლიათ ანტიპოდები: ეგორ ლეტოვი და იანკა დიაგილევა, მართლაც ორი გენიალური ცხონებული ადამიანი. სხვათაშორის, დღე დღეზე ამათი ძეგლები უნდა დაიდგას ნოვოსიბირსკსა და ომსკში. იანკას, არც დავფიქრდებოდი, ახმატოვას ისე შევადარებდი. ლეტოვი კი, სამუდმოდ პანკ კულტურის მთავარ ფიგურად დარჩება. პანკ-როკი რათქმაუნდა დასავლური მოვლენაა, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ მისი საფუძველის - ანარქიის იდეოლოგმა, პეტრე კროპოტკინმა სწორედ ციმბირში დაიწყო მოღვაწეობა. მუსიკალურმა კრიტიკოსებმა, პანკებს როკის

დუელში გამოწვევა

დააბრალეს და ეს ალბათ მართალია. ამას ალბათ ასეთი ახსნა უნდა ჰქონდეს: 70-იანების ბოლოს, როკი მეტისმეტად აკადემიური გახდა და მას ბევრი უღირსიც მიეტმასნა, როგორც ხდება ხოლმე. ჰოდა, ამბოხმაც იფეთქა. მთელი ამ მოხულიგნო პანკების ერთ-ერთი წინამორბედი ალბათ იგი პოპია. ყოველ შემთხვევაში, ასე აღიარა მსოფლიომ ეს კაცი წელს და მას დაგვიანებით "კპანკის ბაბუაც" კი უწოდა. იგი აქამდე ათჯერ მაინც იყო ნომინირებული სხვადასხვა რეგალიებზე მაგრამ, თავისი ხულიგნობის გამო, არცერთი ჯილდო არ მიუღია. სხვათაშორის მისი მოგონილია "მაყურებლებში ყვინთვაც". ეს სალანძღავი ეპითეტიც - "პანკი", პირველად მისი მისამართით გამოიყენეს ჟურნალისტებმა. ჩვენ, როგორც მიჩვეული ვართ, ის დიდი ხნის დაგვიანებით გავიცანით, თან უფრო კინოს წყალობით.

პანკი კი არა, მემგონი როკიც არ ყოფილა ჩვენში ისე მასიურად პოპულარული, როგორც თუნდაც ჯაზი. ალბათ მაინც ვერავინ იტყვის, რომ თბილისში პანკ-როკის ბუმი შესდგა. პირადად მე, მხოლოდ ერთი-ორი ასეთი ადამიანი მახსენდება: ამათგან პირველი - ფილმიდან "ლაქა". ეს კაცი დიდი ენთუზიაზმით აგროვებდა ყველანაირ პანკურ ფირფიტას, რომლებსაც როკის მოყვარულები სიხარულით ვიშორებდით თავიდან. და მეორე - პედაგოგი, "გ.პ.ი."-ის დოცენტი და პირველის სრული ანტიპოდი.

ამასობაში, ჩვენს რიგებშიც გამოჩნდა ძალიან კარგი ადამიანების, ახალგაზრდა თაობა. ესენი უფრო თავისუფალი იყვნენ იმ კომპლექსებისგან რაც ჩვენ გვქონდა: მაგალითად, დისკებისადმი ფანატიზმი, მანიაკალური ზღვრების გავლება ეპოქებს შორის და ასე შემდეგ. შესაბამისად ამათ უფრო თამამად მოსინჯეს თავიანთი ძალები სცენაზე. 1988 წლის ზამთარში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბმა, სწორედ ასეთ ხალხს უმასპინძლა. აქედან ერთ-ორი ჯგუფი, დღემდე კარგად დამამხსოვრდა, კერძოდ: "მისტერია" და განსაკუთრებით "ტაქსი".

აი აქ, ჩემი მეგობრები, რომლებიც დიდი სიყვრულით დამცინიან ხოლმე: ან "დდტ"-ში რა ნახე, ან ეს დიაგილევა ვინ არისო, საერთოდ მასხრად ამიგდებენ ალბათ, მაგრამ მაინც ვიტყვი: 1988 წელს, თბილისში, გიჟური მუსიკის თანხლებით, ქართულად რომ იმღერებ: შენ უნდა იჯდე ელექტრო სკამზეო - ამაზე მეტი იმ დროს რა უნდა ექნა კაცს, თუ ის მართლა პანკ თუ როკ მუსიკოსია?! სამწუხაროდ ეს ყველაფერი მალევე დასრულდა, ზოგის შინაგანი, ზოგის სამუდამო და ზოგის ნამდვილი ემიგრაციით.

ისე, რაც თავი მახსოვს სულ "ბერმუხა"-ზე საუბარი მესმის. ამბობენ ეს ჯგუფი, 1964 წლიდან მოყოლებული, დღემდე არსებობსო და როგორც ვიცი, ჯერ არცერთი ალბომი არ გამოუშვიათ. მე იმას ვფიქრობ, ვაი თუ ამის მოთხოვნილება არც არის

მეთქი. ისე, ბოლოს და ბოლოს ასეც შეიძლება ისტორიაში შესვლა: ორმოცი წელი საცენაზე და არცერთი დისკი! სულ ვფიქრობდი ხოლმე, რა უპირატესობა უნდა ჰქონოდათ ინგლისურ და რუსულენოვან ჯგუფებს, ამ საქმეში და ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრა. რათქმაინდა ბოლოს ისევ მაესტრომ ამიხსნა ყველაფერი: კლიმ, თვითონ სიტყვებს დააკვირდი: "ფლეი" და "იგრა" ორივე ენაში, დაკვრასაც და თამაშსაც ნიშნავსო. ქართულში კი დაკვრა და თამაში სულ სხვადასხვა რამეა და თუ, როკი როკვაა, მაშინ აქედან არაფერი არ გამოვაო...

ერთი სიტყვით, მთელი ეს პანკი დაახლოებით ისე გამოიყურება, როგორც მარსელ დუშანის ულვაშებიანი ჯოკონდა. ლამის ყველა თანხმდება, რომ პანკ-როკის პიონერი და ლიდერი ინგლისური "სექს პისტოლს"-ია, თავიანთი 1977 წლის, ერთადერთი ალბომით. იმავე წელს ჟურნალმა "როლინგ სტოუნზმა" ამათზე ასეთი რამ დაწერა: როკი ავადაა და ის ლონდონში ცხოვრობსო. ეს ალბათ იშვიათი ჯგუფია, რომელსაც ათასნაირი სკანდალის გამო, თვით ბრიტანეთშიც კი კრძალავდნენ და არაერთხელ დაუპატიმრებიათ კიდეც. თავიანთი ვანდალური საქციელის გათვალისწინებით, ამათმა მემგონი კდევ დიდ ხანს იარსებეს - მთელი ერთი წელი. "პისტოლს"-მა გაუკვალა გზა მთელ რიგ ბრიტანულ პანკ ჯგუფებს, როგორიცაა "ქლეში", "ჯემი", "სტრენგლერსი" და სხვა.

ამერიკელები კი, უფრო წინ "რეიმონს"-ს აყენებენ და ეს იქნებ ასეც იყოს. ამერიკაში ამათ უკვე ყავდათ წინამორბედები: თუნდაც "სთუჯისი" და იგივე "ველვეტ ანდერგრაუნდი". აღიარება ამათაც ლონდონის გასტროლების დროს მოიპოვეს, ჯერ კიდევ "სექს პისტოლს"-ამდე. სხვათაშორის 1980 წლის ალბომი, ლეგენდარული ფილ სპექტორის ხელმძღვანელობით ჩაიწერა. შედარებით ხანგრძლივი არსებობის მანძილზე, ხულიგნობაზე მეტად, ესენი უფრო დიდ ყურადღებას შემოქმედებით ექსპერიმენტებს უთმობდნენ და ბევრი მიმდევარიც გაუჩნდათ: "დედ კენედის", "ჰუსკერ დუ" თუ "ტელევჟენი".

გასაოცარი იყო საბჭოთა მედიის სიმპათია პანკების მიმართ. ალბათ იმიტომ რომ, ესენი "დამპალ ბურჟუაზიას" დაუპირისპრდნენ და ეტყობა ჩვენებმაც მოკავშირეებად მიიჩნიეს, თან თავიც გაიმართლეს: მართლები ვყოფილვართ, მთელ მანამდელ როკს რომ ვკრძალავდითო. ჟურნალი "როვესნიკი" აღტაცებით წერდა: მართალია, ეს სიმპათიური ახალგაზრდები, მხოლოდ სამ აკორდს ფლობენ, მაგრამ ეს სიმართლის აკორდებიაო! რატომ გადაირივნენ კომუნისტები, ფაშისტურ სვასტიკიან პანკებზე არ ვიცი, მაგრამ ეს ამბავი მემგონი მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრების კანდიდატია. კარგად მახსოვს, 90-იანების შუა პერიოდში, თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში, ჰოლანდიური წარმოების ფირფიტების უზარმაზარი პარტია რომ შემოიტანეს. ამით ისედაც გაოცებულმა, ბობ დილანისა და ბრუს სპრინგსტინის გვერდით, "ქლეშ"-ის პირველი ალბომიც რომ დავინახე, თავში გამიელვა: უპატრონო ეკლესიას, ეშმაკები ხომ არ დაეპატრონენ მეთქი...

დასასრული ყველაფერს აქვს, რომელიც რაიმე ახლის დასაწყისია ხოლმე. თან ბუნებაშიც არაფერი არ იკარგება და ბოლოს ისტორიაც ხომ მეორდება. იქნებ მსმენელი გადაიღალა და კარგად დავიწყებული როკ-ენ-როლიც მოენატრა, ყოველ შემთხვევაში "ნიუ-იორკ თაიმს"-მა, ბრუს სპრინგსტინზე ასეთი რამ დაწერა: როკ-ენ-როლის მომავალი ვიხილეთ და მას ბრუს სპრინგსტინი ჰქვიაო. სპრინგსტინს, ჩაკ ბერის და ბობ დილანს ადარებენ. ამ კაცმა როკს ყველანაირი მინარევი მოაშორა და მას პირვანდელი სახე დაუბრუნა. 70-იანების ბოლოს, ის როკ-კულტურის ნამდვილი სიმბოლო გახდა, ეს ყველაფერი მეტი არაფერია თუ არა კარგად დავიწყებული ძველი და მემგონი აი ზუსტად ეს არის როკის

ახალი ტალღა

აქ თავში პირველად, ალბათ ყველას "უ2" მოუვა. ამ ირლანდიულმა ჯგუფმა

პირდაპირ დაიპყრო მთელი მსოფლიო. მათ ანგარიშზეა ყველაზე მეტი მუსიკალური ჯილდო. მთელი რიგი კრიტიკოსები, ამათ "ჯოშუას ხე"-ს 80-იანების ნომერ პირველ დისკად ასახელებს. ეჯის გამოჩენა გიტარისტების ურიცხვ სიაში ნამდვილი მოულოდნელობა იყო. ამათი განსაკუთრებული აქტიურობა ადამიანის უფლებათა თუ სოციალური სამართლიანობისათვის მართლა სამაგალითო იყო, იმდროინდელი მოზეიმე დისკოს ფონზე. დღეს "უ2" ყველა დროის საუკეთესო ათეულშია დასახელებული.

ამერიკელებისთვის ახალი ტალღის პირველი ჯგუფი, მაინც ნიუ-იორკული "ბლონდი" დარჩება. ალბათ სწორია ის აზრი, რომ ამ ჯგუფის მუსიკა როკ-ენ-როლის ადრეული ნიმუშების თანამედროვე სტილიზაციაა. დისკი "პარალელური ხაზები" აღნიშნულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ქალის ვოკალი. სხვათაშორის აქ ერთ-ერთ კომპოზიციაში რობერტ ფრიპის გიტარაც ჟღერს. ეს ტანდემი ყოველთვის გაკვირვებას იწვევდა. თუმცა ისეთი მშვენიერი ქალბატონი როგორიც დები ჰარი იყო, ეს ალბათ არც არის გასაკვირი. ითვლება, რომ ამ ჯგუფმა ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა რეპის ელემენტები თავის კომპოზიციებში.

იმავე თაობის, ასევე ნიუ-იორკული "თოკინგ ჰედს"-ი განსხვავებული და იმავე დროს უკვე ნაცადი გზით წავიდა. ამათ საინტერესოდ გააგრძელეს "ველვეტ ანდერგრაუნდის" დაწყებული ექსპერიმენტები. მემგონია მათ შორის გარეგნული მსგავსებაც არის: აქ ბასისტი ქალი, იქ - მედოლე. ამ ჯგუფთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ავანგარდისტი მუსიკოსები: ჯონი მარი, ბრაიან ენო და ედრიან ბელიუ. სწორედ ეს უკანასკნელი გახდა 1980 წელს, რობერტ ფრიპთან ერთად, ლეგენდარული "კინგ ქრიმსონი"-ს აღორძინების ინიციატორი.

ამ პერიოდის, ერთერთი ყველაზე დახვეწილი ჯგუფი "რ.ე.მ."-ი, ლამის მთელი ალტერნატიული როკის მოდელი გახდა. ამათ პირველივე ალბომიდან მოიპოვეს

საყოველთაო აღიარება. "რ.ე.მ."-ს ეკუთვნის აგრეთვე, როკის ისტორიაში თავის დროზე ერთ-ერთი ყველაზე ძვირი კონტრაქტი, თითქმის ასი მილიონი დოლარის ოდენობით, შოუ ბიზნესის გიგანტ "უორნერ ბრაზერს"-თან. თუ არ ვცდები, ესენი დღეს როგორც ტრიო აგრძელებენ გამოსვლას და ძალიან პოპულარულებიც არიან მთელს მსოფლიოში.

ბრიტანულმა "ქიურ"-მა კი პირიქით, როგორც ტრიომ დაიწყო. 1979 წელს "ნიუ მიუზიკალ ექსპრეს"-ი ამათზე ასე წერდა: ციმბირული სუფთა ჰაერის ნაკადი შემოიჭრა, ჩახუთულ დედაქალიქშიო. "ქიურ"-ს აბრალებენ აგრეთვე, გოთიკური როკის გამოგონებას. ისტორია გვამცნობს, რომ ეს ხალხი წარმოშობით, ინგლისური პროვინცია - კროულიდან არიან. ეს დამთხვევაა თუ არა არ ვიცი, მაგრამ პირადად მე ამათი ვიდეოს ნახვის შემდეგ, მართლა ალისტერ კროული გამახსენდა. მემგონი ამ თაობის ჯგუფებიდან, ჩვენთან ყველაზე პოპულარული, სწორედ ესენი გახდნენ.

მართლა ტრიო "პოლის"-იც არ დარჩენილა შეუმჩნეველი, მაგრამ ეს ალბათ მაინც სტინგის ხათრით მოხდა და თან მემგონი უკანა თარიღით. ბრიტანელებისთვის ესენი, ახალი ტალღის ლამის ყველაზე პირველი ჯგუფია. ჩემი ყურადღება მაინც ამათი გიტარისტისკენ, ენდი სამერსისკენ იყო ყოველთვის მიპყრობილი. ეს კაცი, ჯერ კიდევ გვიანდელ "ენიმალს"-თან უკრავდა, შემდეგ - "სოფტ მეშინ"-ში და ბოლოს თვით რობერტ ფრიპთანაც ჩაწერა რამოდენიმე დისკი. 1988 წლის მსოფლიო ტურნეს დროს, ლონდონში მყოფმა ფრენკ ზაპამ, სტინგი ძალიან კარგად მოიხსენია და ექპრომტად ერთი სიმღერის შესრულებაც კი სთხოვა, თავის "დედებ"-თან ერთად!

მე მაინც მგონია, რომ პანკ-როკის არ იყოს, მაინცა და მაინც არც ახალი ტალღა მივიღეთ დიდი ენთუზიაზმით და ცალი თვალი, მაინც წარსულისკენ გვეჭირა. აქ სწორედ სულზე მოგვისწრო "დაირ სტრეითს"-მა. იმ მშფოთვარე პერიოდში, ეს ინგლისური ჯგუფი, არანაირ მოდურ ცდუნებას არ აჰყოლია და დიდი

გულმოდგინებით აგრძელებდა როკ-მუსიკის საუკეთესო ტრადიციებს. მარკ ნოფლერის გიტარაზე დაკვრის არაჩვეულებრივმა სტილმა, უფროსი თაობის გიტარისტებზეც კი მოახდინა გავლენა. "მელოდია"-მ ამათი 1982 წლის ალბომი სულ რამოდენიმე წლის დაგვიანებით გადმობეჭდა და ბოლოს, ცოტა მოგვიანებით გაყიდვაში შემოვიდა 1985 წლის ამათივე "ტყის ძმების" იუგოსლავური გამოცემა.

საბედნიეროდ, სუფთა როკის ერთგული ჯგუფები კიდევ გამოგვიგზავნა ღმერთმა. ავსტრალიური "ას-დს", მემგონი ამ ნოსტალგიის ყველაზე უებარი წამალი გამოდგა. ამ ხალხის წარმატების საიდუმლო დღემდე გამოცანად რჩება. თითქოს არაფერი ახალი, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ამათ მიმზიდველობა მაინც არასდროს დაუკარგავთ. უნიკალურია ის შემთხვევაც, რომ თავიანთი ლიდერის დაღუპვამ და შემადგენლობის ცვლილებამ კიდევ უფრო გაზარდა ჯგუფის პოპულარობა. ესენი სამართლიანად შედიან, ყველა დროის საუკეთესო, მძიმე როკის ანსამბლების ხუთეულში. შესაძლოა, ტრადიციების ასეთმა ერთგულებამ წარმოშვა კიდეც, ახალი ტალღის

რკინის ფრთა

სახელად ჰევი-მეტალი. ეს ალბათ იგივე მძიმე როკია, თან კიდევ უფრო დამძიმებული. ამას ისიც მოწმობს, რომ აქ კარგად დავიწლებული "დიფ ფარფლი"-დან ხელახლა აღმოცენებული "რეინბოუ" და "უაითსნეიკი"-ც ვიხილეთ. განახლებული ენერგიით ოზი ოსბორნის კარიერამ ლამის "ბლეკ საბათ"-ის პერიოდიც კი დაჩრდილა. ოზი ამ ხალხის, ნამდვილი ნათლიმამა გახდა. თუმცა ლიდერობა მაინც, ახალი თაიბოს ბრიტანულ "აირონ მეიდენ"-ს დაეკისრა. მე რომ მკითხოთ, ამათ სისხლი, ჩონჩხი და ათასნაირი ბუტაფორიები სცენაზე ცოტა ზედმეტი მოუვიდათ, თუმცა მუსიკალური მხარე, ამით მაინც არ დაზარებულა.

ჰოლანდიური წარმოშობის, კალიფორნიელი ვან ჰალენი, გიტარაზე დაკვრის, ერეთ წოდებული "წეწრტილოვანი მანერის" ნოვატორი გახდა. თუ არ ვცდები, ასეთი ტრიუკები თავის დროზე რიჩი ბლეკმორსაც უყვარდა. სწორედ ამ გენიალური გიტარისტით შთაგონებულმა გააკეთა, თავბრუდამხვევი კარიერა შვედმა გიტარისტმა, ინგვი მალმსტინმაც. ეს ადამიანი ოსტატურად იყენებდა ვივალდისა თუ ბახის კონცერტების სტილიზაციებს. მე ისე მგონია, თითქოს ვირტუოზობა აქ, ცოტა მაინც თვითმიზანი გახდა.

90-იანების დადგომასთან ერთად გაჩნდა სუპერმენი გიტარისტების მთელი არმია. სტივ ვაიმ თავისი ტექნიკა ისე დახვეწა რომ, ფრენკ ზაპას "დედები"-ს ბოლო შემადგენლობაში თითქმის ათი წელი დაჰყო. ვაის და უამრავი სხვა ცნობილი გიტარისტის მასწავლებელი, ვინმე ჯო სატრიანი აღმოჩნდა, რომელმაც თავისი მოწაფეების წაქეზებით, სკუთარი კომპოზიციებიც ჩაწერა და უკანასკნელი პერიოდის გიტარისტებს შორის ლიდერობაც მოიპოვა. სუფთა ტექნიკური მხარის გარდა, ამ კაცის უნიკალობა იმაშია, რომ თავისი ალბომები მთლიანად ინსტრუმენტულია და ძალიან საინტერესოდაც ისმინება. თავისი კარიერის დასაწყისში, ჯოს მონაწილეობა აქვს მიღებული იგივე "დიფ ფარფლ"-ისა და "როლინგ სტოუნზ"-ის კონცერტებში. თავის ბოლო ალბომში ამ კაცმა, მეორე გიტარისტად თვით რობერტ ფრიპიც კი მიიწვია!

სატრიანის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოსწავლე, სწორედ "მეტალიკა"-ს წამყვანი გიტარისია. ამ ჯგუფმა მართლა დიდი ეფექტი მოახდინა მთელ მსოფლიოში. უკვე ასაკში მყოფი მუსიკის ქართველი მოყვარულები, ისევე აღვფრთოვანდით, როგორც ახალგაზრდა თაობა. მალმსტინი ერთხელ ინერევიუში გამოტყდა: ჩემი ოცნება "მეტალიკა"-ში დაკვრაა. ასეთი ფენომენალური წარმატება, ალბათ გარდა წარმოუდგენელი ტეკნიკური დონისა, შინაარსიანი ტექსტებისა და დიდი ემოციური ლირიკის ბრალიცაა. ამათი "შავი ალბომი" 90-იანების ერთ-ერთ მთავარ ჩანაწერად

ითვლება. "მეტალიკა"-ს წარმატებით წახალისებული ურიცხვი ჯგუფი გამოჩნდა: "სლეიერი", "მეგადეტი" თუ "განზ-ენ-როუზისი", თავიანთი ბრწყინვალე გიტარისტით - სლეშით.

აქ, არ შემიძლია არ ვახსენო უნიკალური მუსიკოსი და მულტიინსტრუმენტალისტი პრინცი. ერთი შეხედვით, ეს კაცი თითქოს როკისგან შორსაა. სინამდვილეში, კი ის მთელი შავი მუსიკალური სტილების ნამდვილი კალეიდოსკოპია. ლეგენდარულმა მაილს დევისმა მას, თანამედროვეობის დუკ ელინგტონი უწოდა. როგორც დიდი ილია ამბობს: აქ ალბათ ბევრი დამიწყებს ლაფის სროლას, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: პრინცის გიტარის სოლო პარტიები, ყურადღებით რომ მოვისმინე, პირველად ვნახე კაცი, რომელმაც ჰენდრიქსი მომაგონა...

მემგონი, სინამდვილეში მხოლოდ ამ დროს გაქრა საბოლოოდ სეგრაგაცია. ყოველ შემთხვევაში, სცენაზე მაინც. თუნდაც თეთრი "რეიჯ ეგეინსთ მეშინი", რომელიც მეტალის ვირტუოზულ სტილში რეპს ასრულებს. ან პირიქით, შავკანიანთა "ლივინგ კოლორი", რომლებმაც თავიანთი მეტალისტური სტილის გამო "შავი ლედ ზეპელინი"-ს მეტსახელიც დაიმსახურა. ამ გაგებით, ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ჯგუფი ალბათ მაინც "რედ ჰოთ ჩილი პეპერსი" გახდა. ამათი "კალიფორნიზაცია" მეოცე საუკუნის უკანასკნელი წლის საუკეთესო ალბომად, საუკეთესო კომპოზიციად და საუკეთესო ჯგუფად ერთდროულად აღიარეს. ამსობაში, ჩვენში ისეთი არნახული გარდაქმნა მოხდა, დღემდე კაცს ვერ გაუგია ეს რა იყო. პირადად მე, ამ ყველაფერმა ბულგაკოვის, ვოლანდის

მაგიური სეანსი

გამახსენა. ერთბაშად ნებადართული გახდა ყველაფერი. ფირფიტების ჩანაცვლება ლაზერულმა კომპაქტ-დისკებმა სცადეს. თუმცა, ჩვენი თაობა მაინც ფირფიტების

ერთგული დარჩა. მე რომ მკითხოთ, ამ კომპაქტებს მხოლოდ ერთი უპირატესობა ჰქონდათ, ის რომ ჯიბეში ეტეოდნენ. ფირფიტების ბედი კი, ერთი პერიოდი ძალიან დრამატულად წარიმართა. ერთ მანახა, ვინ მოიფიქრა დისკების ყვალივების ქოთნებად გადადნობა?! ამ შავ, ვინილის ქოთნებში ჩარგული ყვავილები, მართლაც გულისმომკვლელი სანახაობა იყო...

ეტყობა პოლ მაკარტნიმ, ამის თაობაზე არაფერი არ იცოდა, ჰოდა მთელი დისკი ჩაგვიწერა პსეციალურად და მხოლოდ საბჭოთა მსმენელს, სახელით "სსრკ-ში დაბრუნება". ამ დროს ემიგრაციის არნახული ტალღა აგორდა, ძირითადად ამერიკის მიმართულებით, და ხმა გავარდა ამ ალბომს, იქ 50 დოლარად იბარებენო. ასე რომ, თითქმის მთელი ტირაჟი ისევ საზღვარგარეთ გაზიდა, "მადლიერმა" საბჭოთა მსმენელმა. "მელოდია"-მ კი, ეტყობა დანაკარგის ანაზრაურება განიზრახა და დისკების მთელი სერია გამოუშვა, სახელწოდებით "პიპულარული მისიკის არქივი". პირველი "დორს"-ს მიეძღვნა, მეორე - სტივ უანდერს, მესამე - "ქრიდენს"-ს და ასე შემდეგ, თუ არ ვცდები სულ თორმეტი.

ნამდვილი აფეთქება მოხდა მედიაში. "როვესნიკ"-მა დაიწყო "როვესნიკის როკ-ენციკლოპედი"-ის გამოქვეყნება, ალფაბეტის მიხედვით, რომელმაც ასო-ბგერა "მ"-მედც მიაღწია. მოგვიანებით, ინტერნეტი რომ გამოჩნდა, საინტერესო რამ აღმოვაჩინე: თურმე მთელი ეს პერიოდი, საბჭოთა მედია გამიზნულად გვიბნევდა თავ-გზას, მაგალითად: "დექსის შუაღამის მოხეტიალეებს" რატომღაც "ხუთკაციანი ტრიო" დაარქვეს, ან სულაც თავიდან ბოლომდე გამოგონილი ჯგუფი "მაკმასტერის სიკვდილი" დღემდე ვერსად აღმოვაჩინე. და ბოლოს, ტელევიზიაში გაჩნდა დამოუკიდებელი არხები, სადაც ყველაფრის ნახა შეიძლებოდა. ასე მაგალითად, პირდაპირ "მ.ტ.ვ."-დან, რომელსაც ერთ-ერთი ასეთი არხი რთავდა თავის ეთერში, გავიცანით "პერლ ჯემი", თავიანთი უკვდავი "ჯერემი"-თ.

"პერლ ჯემი" 60-70-იანების შემდგომი პერიოდის, ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ანსამბლია, სიეტლიდან. დები უილსონების, მძიმე როკის "ჰარტ"-ს თუ არ ჩავთვლით, მანამდე სიეტლი, როგორც ჯიმი ჰენდრიქსის სამშობლო ვიცოდით. ამათი პირველი დისკი "თენი" როკის ნამდვილი შედევრია. 1995 წელს ნილ იანგმა, ეს ხალხი თავისი ალბომის ჩასაწერად მიიწვია. სულ ახლახანს "დორსი"-ს საიუბილეო ტურზე, ედი ვედერმა ლეგენდარული ჯიმ მორისონის ადგილი დაიკავა სცენაზე. და ბოლოს, რობერტ პლანტმაც იმღერა "პერლ ჯემ"-ის ერთ-ერთ კონცერტზე, სადაც "ლედ ზეპელინის" კომპოზიციებიც შსრულდა. სიეტლიდან წამოვიდნენ ასევე, "საუნდგარდენი", "ელის ინ ჩეინსი" და ბოლოს "ნირვანა".

ამ უკანასკნელმა, მემგონი გულგრილი არ დატოვა არცერთი ქვეყნის არცერთი თაობის მსმენელი. ცხონებული კურტ კობეინის ფენომენი, ალბათ პრესლის და მორისონის ტრადიციების ერთგვარი გაგრძელებაა. ანდერძად ამ კაცმა, თავისი კერპის ნილ იანგის ერთ-ერთი სიმღერის სიტყვები დატოვა. იანგმა კი, 1994 წლის "ანგელოზებთან ძილი"-ც სწორედ მის ხსოვნას მიუძღვნა. თითქოს ასეთი ხალხის წასვლით, მთელი ეპოქა მთავრდება ხოლმე და როგორც ჩანს ეს მართა ასეა...

გულახდილად რომ ითქვას, ჩემი თაობის თვალით დანახული დღევანდელობა, განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს. ან ალბათ ჩვენ დავბერდით!? პირადად ჩემი შთაბეჭდილება დაახლოებით ისეთია, როგორც ფრენკ ზაპამ იხუმრა ერთხელ: ჯაზი მკვდარი არ აირის, მას მხოლოდ უცნაური სუნი უდისო... მაგრამ

იმედი

ხომ არასოდეს არ კვდება!? ჯაზის არ იყოს, არც ვინილის ფირფიტები აღმოჩნდა მკვდარი, პირიქით დღეს ვინილის ნამდვილი ბუმი დაიწყო და მათ სოლიდური ფასიც დაედოთ. ის კი არა, ახალგაზრდა მუსიკოსებმაც დაიწყეს ისევ ფირფიტების

გამოშვება. უცნაური ისაა, ვინილის ის ქოთნებიც უკვალოდ რომ გაქრა სადღაც. ბევრმა, იმ საბჭოთა გამოცემების ძებნაც კი დაიწყო, თავის დროზე ზედაც რომ არ ვუყურებდით...

კრიზისული სიტუაციის გამოსწორება, ცოცხლად დარჩენილი ძველი ჯგუფებისთვის პრესტიჟის საკითხი გახდა. ამ ტალღაზე მკვდრეთით აღდგომის უამრავი მაგალითი ვნახეთ: თუნდაც იგივე "დორსი", სამი კაცის შემადგენლობით, ან "გრეიტფულ დედი" - ჯერი გარსიას გარეშე, ან სულაც ერთ დროს ფრენკ ზაპას "დედები", ამჟამად მის გარეშე უკვე "ბებიები".

ამ ფონზე, სრულიად მოულოდნელი იყო შორეული ისლანდიიდან, ბიორკის გამოჩენა. ამ გოგოს, რაღაც ისტერიული წარმატება ჰქონდა მთელს მსოფლიოში. პირველად აქ გავიგე პაპარაცების არსებობია. ის კი არა, ერთმა ამერიკელმა თაყვანისმცემელმა თავიც მოიკლა თურმე და ამ სცენის ვიდეო ჩანაწერი ბიორკს გაუგზანვა. ამბობენ, ამ თამაზე შეუქმნია მას, თავისი "ჰომოგენიკი". პირველი ალბომები "დებიუტი" და "შემდეგი" ნამდვილი საკულტო ჩანაწერები გახდა, და რომლებიც თითქოს სიზმრების შთაბეჭდილებას ტოვებენ. ბოლოს, ქალის საუკეთესო როლისათვის, კანის ფესტივალზე, ოქროს პალმის რტოც კი მიიღო, დანიელი ლარს ფონ ტრიერის ფილმში მონაწილეობისათვის. ამ ფილმის მუსიკალურმა გაფორმებამ კი, ოსკარი მოიპოვა.

შედარებით ზომიერი ინტერესი გამოიწვია, ამრიკელმა მობიმაც. ეს მობი თავიდანვე თვალში მეცა, თავისი უცნაური ხელწერით და ორი დისკიც შევიძინე. აღმოჩნდა, რომ ორივეში მისი პატარა მოთხრობები იდო: ერთი ამერიკის ქრისტიანულ მოძრაობაზე, მეორე კი, ვეგეტარიანობასა და ეკოლოგიაზე. მან ასევე წინასწარ დართო უფლება ნებისმიერ კინემატოგრაფისტს, თავსი ნებისმიერი სიმღერის გამოყენებაზე მათ ფილმებში. გინესის რეკორდების წიგნში ის შევიდა, როგორც ყველაზე სწრაფი

კომპოზიციის ავტორი. ბოლოს როგორც გაირკვა, ეს ბიჭი გენიალური ჰერნამ მელვილის შორეული შვილიშვილი ყოფილა. ნუთუ საჭიროა იმისი თქმა, რომ ეს ამბავი მაესტროს წვრილად მოვახსენე. სანამ ის გაოცებული მიყურებდა, აი ზუსტად მაშინ გადავწყვიტე მისი ამ წიგნის რედაქტორობაზე დაყოლიება...

შვილიშვილებს და შვილებს რაც შეეხება, ერთი პერიოდი როკ-მუსიკოსთა შვილების გააქტიურება მოხდა. ერთ-ერთი პირველი ასეთი, "ბიჩ ბოის"-ის და "მამას ენდ პაპას"-ის მონაწილეთა ქალიშვილების ვოკალური ჯგუფი "უილსონ ფილიპსი" იყო. შემდეგ, ჯონ ლენონის უფროსი შვილის, ჯულიანის დისკებიც გამოჩნდა. და ბოლოს, მემგონი ყველაზე ღირსეული "შვილი" - დუიზილ ზაპა, დღეს უეჭველად ერთ-ერთი საუკეთესო გიტარისტი.

სულ ბოლო პერიოდის ჩანაწერები, მემგონი აშკარად მოსაწყენი დამოდგა. ასაკი ხომ ყველაფერს აქვს და იქნებ როკიც ცოტა ბერდება? მე რომ მკითხოთ, დღეს როგორც არასდროს აშკარა გახდა პლაგიატი, რაც სტაჟიან მსმენელში სამართლიან ირონიას იწვევს. ინდივიდუალობაზე ლაპარაკიც კი ცოტა ნაადრევია ალბათ. მემგონი ამ ჯგუფების ერთმანეთისგან განსხვავებაც კი ჭირს. თუნდაც "რადიოჰედი", რომელსაც უზარმაზარი ხმაური მიყვა მოჰყვა. ან კიდევ "ქოლდფლეი". ეტყობა გრძნობდა კრიზისის მოახლოვებას კურტ კობეინი, როცა უთქვია: ჩვენ რომატკიკოსების უკანასკნელი თაობა ვართო...

თუმცა, არც ისე ცუდი პირი უჩანს დეტროიტულ "უაით სტრაიპს"-ს. ან იქნებ არჩევანის სიმწირის გამო გახდა ეს ჯგუფი, აღფრთოვანების ობიექტი და როკის ნუგეში. თუმცა, ეს და-ძმა ჯერ ძალიან ახალგაზრდები არიან და ნაადრევი დასკვნების გამოტანა ალბათ არ იქნება სწორი. ისე, 60-იანებში დეტროიტს "მს5"-მა გაუთქვა სახელი და იმედია, ეს უაითებიც არ ჩამორჩებიან.

ბოლო პერიოდში, მაინც იყო ერთი სასიამოვნო შემთხვევა. რათქმაუნდა, მიკერძოებულად ვგულისხმობ ქეთი მელუას წარმატებას. თუმცა ეს გოგო, გარი ბრუკერთან და ქრის სპედინგთან ერთად რომ დავინახე სცენაზე, ვიფიქრე: ეს არც ისეთი მიკერთოებაა მეთქი. შარშან "ჯეთრო ტალი" ერევანში უკრავდა, თბილისელმა ფანებმა კონცერტის შემდეგ იან ანდერსონს ავტოგრაფი სთხოვეს, მაესტროს კი აღტაცებით წამოუძახია: რომელი ჯორჯიდან ხართ, ქეთი მელუასიო!?...

ერევნის გახსენებაზე, სომხებმაც თქვეს ტავიანთი სიტყვა, ვგულისხმობ კალიფორნიელი სომხების საკმაოდ სიმპათიურ ჯგფ "სისტემ ოვ დაუნ"-ის. ისე აქამდე, ჩვენი სომეხი მეგობარი, ხან კეით მუნს აბრალებდნენ სომხობას ხან კეით ბუშს და ხან კიდევ ვის.

ჩვენს მაესტროს - ვასიკო კეჟერაძეს რაც შეეხება: პენსიაზეა, ზის თავის სავარძელში ტორშერთან და კითხულობს. ჩვენს ფოტო სალონში ახლა სხვა სალონია - სილამაზის. სხვათაშორის, აქ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლეც. მისი ყურის ნიჟარის ფორმამ ისე მომხიბლა, რომ თავში თითქოს "პინკ ფლოიდ"-ის "ექო" ჩამესმა და აი ზუსტად იმ მომენტში მივხვდი, მთელი ამ ხნის მანძილზე პირველად, ამათ "მიდლ"-ს ყდაზე რაც ეხატა. პირადად მე კი, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ, ფოტოგრაფიის ახალ ყაიდაზე გადამაწყო, ანუ ერთი სიტყვით - გამაციფრულოპერატორა...

© კლიმ მარი

თბილისი, 2010

გამომცემლობა: ლეონარდო

რედაქტორი: ვასილ კეჟერაძე

მხატვარი: ჯეიმს გრაშოვი

ISBN 978-9941-0-2703-1